სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

კავკასიის ... ოლქის ... ბიბლიოთეკა

პარასკევი, 20 სექტემბერი 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოსაწერლებმა ფული ... სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, ... ящ. 199. Редакція „Эрто... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 201 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 201

საოლქო კომიტეტი სოც.-დემ. მუშათა პარტიისა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს პარტიის წევრის, ცნობილი ბელეტრისტის

არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობთ ფრაქციის წევრის, ცნობილი ბელეტრისტის

არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

გურიის დამხმარე კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის უანგარო მოღვაწის

არსენ მამულაიშვილის

უდროკოთ გარდაცვალებას.

„ერთობის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს მკითხველებს დაუვიწყარი თანამშრომელის ბელეტრისტ

არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას.

თფლისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობა მწუხარებით აუწყებს სახალხო მასწავლებლებს კავშირის თავმჯდომარის ამხანაგის, ეროვნულ საბჭოს წევრის და ცნობილი ბელეტრისტის

არსენ მამულაიშვილის (ლალიონი)

უდროოთ გარდაცვალებას. (2—1)

გურიის საგანგებო რაზმის ხელმძღვანელი ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ მიმდინარე სექტემბრის 22 (ახ. სტ.), კვირას, დ. სუფსაში გადახდილ იქნება საორმოცო პანაშვიდი საჩხერის რაიონში გმირულად დაკარგულ ამხ. პოდპ.

მარკოზ ივანეს ძე გოგიჩაიშვილის და იასე ლევანის ძე ვასაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. პირველის—გოგიჩაიშვილის—დ. სუფსაში დილის 10 საათზე და მეორესი—ვასაძის—სოფ. ჩოჩხათში ნაშუადღევის 2 საათზე. (2—2)

გულდათუქმულნი და დამწუხრებულნი: პლატონ ალექსის ძე და მეუღლე მისი ვარიჩა იაგორის ასული შარაიძისა უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ... მშობლებს, ნათესავთ და ამხანაგებს ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის

ნიკოლოზ ალექსის ძე შარაიძის

ყვავილით უდროოთ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება 21 სექტემბერს. პანაშვიდები ყოველდღე. (2—1)

ექიმი იასონ ისიდორის ძე ჟორდანია თავის პატარა ვაჟით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასისა და დაუვიწყარის მეუღლის

კატუშას

უდროოთ გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა შაბათს, 21 სექტემბერს (8 სექტემბერს ძველის სტილით) მარტვილის მონასტერში. (2—1)

ტყიბულის მუშეგის გაფიცვა

როგორც იტყობინებიან, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშები კვლავ გაფიცულან და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ახალი მოთხოვნები წაუყენებიათ.

ასეთივე გაფიცვა მოახდინეს მათ, თუ არ ვცდებით, ამ ერთი თვის წინათ და მთავრობამ რამდენათაც კი შეეძლო დააკმაყოფილა მათი დროს და გარემოების შეუფერებელი ეკონომიური მოთხოვნები.

დღეს ისინი ხელ-ახლათ გაფიცულან და მეტათ შეუსაბამო მოთხოვნები წამოუყენებიათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ხელფასის მომატებასთან ერთად მოითხოვენ სხვადასხვა საგნების ნატურით გადახდას, რაიც მთელ რესპუბლიკაში მეტათ ძნელი საშოვარია.

ჩვენ არას ვიტყვით ხელფასის უზომო რაოდენობაზე, ვინაიდან ყველასათვის ცხადია, რომ თვით ტყიბულის ქვანახშირის წარმოება ხარჯებს ვერ ფარავს და მუშების ხელფასის გასტუმრება რესპუბლიკის ხაზინიდან უნდა მოხდეს.

როცა ესა თუ ის წარმოება თავის ხარჯებს ვერ ფარავს და მუშების ზედმეტი ხელფასი სახელმწიფო კასიდან უნდა გაისტუმროს, ეს იმას ნიშნავს, რომ ტყიბულის მუშები სახელმწიფოს პენსიონერები, ინვალიდები ხდებიან და ისინი საზოგადოების ხარჯზე უნდა იკვებებოდენ.

ამ შემთხვევაში ისინი დანარჩენ მოქალაქეებს, განსაკუთრებით მუშებს პირიდან ლუკმას სტაცებენ. შემოსავალი, რომელიც საზოგადოთ მცხოვრებთა მოთხოვნილების თანასწორ დაკმაყოფილებას უნდა მოხმარდეს, მათ მიაქვთ. ჩნდებიან პრივილეგიური მუშები, მუშების არისტოკრატია, რომლებიც დანარჩენნი მუშების ხარჯზე ცდილობენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს სხვისი ნაშრომის მითვისებაა.

როცა კერძო წარმოება საწარმოო ხარჯებს ვერ ფარავს, მაშინ მწარმოებელი, - ფაბრიკა-ქარხნის პატრონი, თავისი წარმოების ლიკვიდაციას ახდენს, წარმოებას ხურავს. შეგნებული მუშათა კლასი დამქირავებელს ჩვეულებრივ, თავის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას ედავება და ამ ნიადაგზე ჩაღდება ეკონომიური ბრძოლა, მაგრამ როცა ის ამ ჩარჩოებს შორდება და წარმოების შეუფერებელ მოთხოვნებს აყენებს, ასეთ მუშებს, ფრიდრიხ ენგელსი სამართლიანად უწოდებდა მუშათა კლასის მოღალატეებს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ტყიბულის მუშების მდგომარეობა და მათი თავხედობა იმით არის სავალალო და გასაკიცხი, რომ ისინი კერძო კაპიტალისტების მიერ კი არ არიან დაქირავებული, არამედ—სახელმწიფოს მიერ; ისინი სახელმწიფოს წარმოებაში მუშაობენ. მათ ეტყობა, იმის იმედი აქვთ, მთავრობა აქ თუ ზარალობს და მუშების ზედმეტ მოთხოვნებს ტყიბულის წარმოებიდან ვერ აკმაყოფილებს, შეუძლიან სახელმწიფო კასიდან მისცეს და ამ გზით დაკმაყოფილოს მათი პრივილეგიური მოთხოვნები.

ნუ თუ ტყიბულის მუშებმა არ იციან, რომ სახელმწიფოს ხალხიდან აღებული ქონება აქვს თავის ყასაში მოგროვილი და აქედან მოკლებული ხალხს უნდა მოაკლდეს? მერე რა სამართალია, რომ მოქალაქემ ამ საერთო სიდუხჭირის ხანაში კიდევ უნდა მოიკლოს რაიმე და ტყიბულის მუშებს კი ზედმეტი ხელფასი, ზედმეტი შაქარი, ჰური და სხვა ასეთები მისცეს.

საერთო ხარჯზე ტყიბულის მუშების კაპრიზების დაკმაყოფილება ხალხს წინ შეღალატია და ამას არ იზამს არც ერთი დემოკრატიული მთავრობა.

თუ ტყიბულის მუშები თავისას არ იშლიან, მაინც მოთხოვნებს აყენებენ და იფიცებიან, ეს სწორეთ იმიტომ, რომ მათ ეტყობა კარგათ იციან, თუ რა არის დღეს, ნავთის უქონლობის ხანაში ქვანახშირი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის. მათ ჩვენ ხალხს სუსტი ადგილი მოუნახეს—აიღეს და გაიფიცენ. ამით სურთ იძულებული გაგვხადონ მათი სრულიად უსამართლო მოთხოვნა დაკმაყოფილოთ.

მაგრამ მათი ასეთი მოქმედება სასიკეთოდ ემუქრება ჩვენს ისედაც მინგრეულ-მონგრეულ ცხოვრებას, ჩვენს ეკონომიურს და კულტურულ კეთილდღეობას.

ეს გაფიცვა ისეთი ტერორია, ეს ისეთი თავდასხმაა, რომელსაც ვერ შეურიგდება ვერც მუშათა კლასი და ვერც შეგნებული დემოკრატია. ან ვინ შეურიგდება, როცა ტყიბულის გაფიცვის მეოხებით მთელი ჩვენი მიმოსვლის მთავარი საშუალება უნდა შეჩერდეს და ამასთან ერთად, უნდა შეჩერდეს მასთან მჭიდროდ შეკავშირებული მთელი ჩვენი ეკონომიური არსებობა.

ეს ისეთი ანარქიაა, რომლის მზგავსიც არ გვინახავს და რომელიც შინაურ და გარეშე მტერს საშვალებას აძლევს თავი წამოყონ, ანარქიის მძვინვარებაზე შექმნან ის, რაც მათთვის ხელსაყრელი და სახეიროა. მტრების ასეთ თავგასულობას ვერ შეურიგდება შეგნებული დემოკრატია და მათ აღვირ წახსნილობას ყოველ მხრივ შეებრძოლება. ხალხი და შეგნებული დემოკრატია ტყიბულის მუშებს ყელს არ გაუოაჭრევინებს, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას არ დაანგრევიებს. მას შესწევს იმდენი ძალა და უნარი, რომ თავი გაითავისუფლოს ტყიბულის პრივილეგიურ—არისტოკრატიულ მუშებისაგან და ქვანახშირის წარმოება ჩვეულებრივ პირობებში ჩააყენოს. ტყიბულის მუშებს ჩვენი ცხოვრების სასიკვდილო განაჩენს ვერ გამოვატანინებთ, წარმოებაში შეგნებული და შრომის მოყვარე ხალხი ჩადგება. ეს უნდა იცოდენ ტყიბულის მუშებმა და ნურას უკაცრავათ, თუ მათ კაპრიზებს არ შევწირავთ მთელი ხალხის ფიზიკურ და კულტურულ არსებობას!

პიდევ სიძვირეზე

სურსათის საქმე დღითი დღე მწვავდება. მართალია ქალაქში ჰური ბევრია, ყოველ მედუქნესთან იყიდება, მაგრამ მისი ფასი მაინც საზღაპროთ ძვირია.

ვაჭრობის თავისუფლების გამოცხადებამ მხოლოდ საბაჟკარაზე გამოიტანა ის, რაც სარდაფის სიბნელეში ხდებოდა. დღეს აშკარაა, რომ ყველა ვაჭრობს, ვინც წინეთ ნაყოფიერ შრომას ეწეოდა და ამით ახალ ღირებულებას ქმნიდა, დღეს მხოლოდ საქონლის ყიდვა გაყიდვას მისდევს და ამ ოპერაციით ისეთ სარგებელს პოულობს, რომელიც მის ხელფასთან შედარებით მეტად დიდია. ამნაირათ წარმოების ყველა დარგი ცალიერდება, სამაგიეროთ წვრილი ვაჭრები მრავლდება, უკეთ შრომა ქრება—სპეკულიაცია ძლიერდება.

ფულის დატრიალება ვაჭრობის სფეროში შეიქნა გამდიდრების მთავარ საგნათ. და ეს იმ დროს, როცა საქონლის რაოდენობა თანდათან კლებულობს, ვინაიდან საქართველოს საზღვარ-გარეთიდან თითქმის არაფერი შემოაქვს, შინ კი წარმოება სრულიად გაჩერებულია, ასეთ პირობებში უნდა კლებულობდეს ვაჭრობაც. ის კი იზრდება.

რა არის ამის მიზეზი?

მიზეზი ბევრნაირია. იგი ჩვენი ცხოვრების ჩამორჩენილობაშია ჩამარხული. სამრეწველო გამოცდილება ჩვენ არ მოგვეპოვება. შრომის ნაყოფიერება ჩვენს საუკეთესო შეგნებულ მუშათა ნაწილებშიც მეტათ მდარე, შეუგნებლებში ხომ თითქმის სრულიად არარაობამდეა დასული. მოთხოვნილება კი მათი ელვის სისწრაფით იზრდება და მრავალფეროვანდება. ამ რიგათ გამოუცდელობას ემატება სიძნელე წარმოებაში შრომის ჩაბმისა. მაგრამ ამავე დროს ფულით ყველას ჯიბე აქვს დამძიმებული. ფულის ნიშნებით სავსეა ხალხი და ეს ფული არც ბანკებში გროვდება, არც ხაზინას უბრუნდება. იგი საქონლის გაცვლა-გამოცვლაში ტრიალებს.

აქედან წარმოსდგება ეს საარაკო სიმციერე და კიდევ უფრო საარაკო სისწრაფით ზრდა ფასებისა, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ დღეს ყოველ დარგში.

ფული ყველას უნდა თავიდან მოიშოროს, იგი ყველაზე ნაკლებ გამოსადეგი ქონებაა. სამაგიეროთ ყველას უნდა ნივთი, რეალური ღირებულება.

ამ ყიდვა-გაყიდვის ცეცხლებში არის დღეს ჩაბმული ყველა, მთელი ხროვა სპეკულიანტთა, ყოველი მეწარმალე, სალდათი, გლეხი, ყოფილი მუშა და სხვ.

ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ჰურის სიმრავლის მიუხედავთ მისი ფასი არ იწევს და ნორმალურ ფასამდე არ ჩამოდის.

ამ ერთ-დ თავისუფალმავაჭრობამ შესძლო ეხოლოდ მისი ფასების შეჩერება ქალაქში და გათანასწორება შედარებით პროვინციალური და ქალაქური ფასების.

მაგრამ სხვა საქონლის ფასზე კი თავისუფალი ვაჭრობა ამ გვარათვე ვერ იმოქმედებს. აბსოლიუტური სიძვირე მანუფაქტურის, რკინის და სხვა ასეთი საგნებისა—საუკეთესო საფუძველია მათზე მონოპოლიური ფასების დაწესების. და ასეთ მონოპოლისტათ ხდებიან ქალაქის ვაჭრები.

ამ უკანასკნელთა გაუმაძღრობა კი გლეხებისაზე ნაკლები როდია; იგი კიდეც სჭარბობს. გადამალვა საქონლის, ნაწილ ნაწილათ მისი გამოჩენა და მასისხლ ფასებში გასაღება. ყოველ დღე ფასების აწევა ერთი ორათ—აი სურათი ქალაქის ვაჭართა მონოპოლიური თავგასულობისა.

და თუ ჰურის საქმეში თავისუფალმა ვაჭრობამ ოდნავ მაინც მოგვცა შეღავათი, სხვა საქონლის ვაჭრობაში ასეთივე სისტემა ყოვლად გამოუსადეგარია. საქონლის ნაკლებობა—მოითხოვს ერთად ერთ ზომას, მათ სრულ რეგისტრაციას და თანაბრათ განაწილებას მცხოვრებთა შორის.

მართალია ეს ძნელი საქმეა, მაგრამ რაკი ამას ცხოვრება ითხოვს, სახელმწიფო ვალდებულია მას შეუდგეს. სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონი ამ მხრით დიდ სამსახურს გაუწევს მთავრობას, თუ მას მოყვება გონივრული ზომები ვაჭრობის და ყიდვა გაყიდვის რეგულიაციისა.

მოწესრიგება ვაჭრობის, განაწილება თანაბრათ საქონლის, აი დღევანდელი დღის მოთხოვნილება. არ უნდა დაგვიწყდეს, რომ შეიძლება წლები გავიდეს კიდევ, სანამ ნორმალური წარმოების დაღეგა მიცემობის პირობები შეიქმნებოდეს. მანამდე კი ჩვენ იძულებული ვიქნებით, იმით დავკმაყოფილდეთ, რაც დღეს მოგვეპოვება. მდიდართა ხელში ჩაგდება გაძვირების საშუალებით ყველა ამ დარჩენილ საქონლისა, გამოიწვევს დემოკრატიის ფართო მასსის სამართლიან დრტვინვას, უკმაყოფილებას, პროტესტს და შეიძლება ამ უკმაყოფილებამ სერიოზული ხასიათიც მიიღოს, რომელიც რესპუბლიკის ხელმძღვანელთ ერთიერთათ გაურთულებს დადებით მუშაობის გაგრძელებას.

დაყოვნება შეუძლებელია.

მიმდინარე მომენტი

ირ. ფერეთლის მოხსენება.

რკინის გზის-მუშა-მოსამსახურეთა ყრილობაზე ირ. წერეთელმა მიმდინარე მომენტის შესახებ შემდეგი მოხსენება გააკეთა:

ამხანაგებო! რკინისგზელთა ყრილობას ჩვენი რესპუბლიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქ წარმოდგენილი არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც შეადგენს ავანგარდს ჩვენი დემოკრატიისას. ჩვენმა პროლეტარიატმა უნდა გაამაგროს და შეინარჩუნოს რევოლიუციის მონაპოვარი, ამ პროლეტარიატის ძირღვს კი რკინის გზის მუშები შეადგენენ. საერთო მდგომარეობის დახასიათებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ომს, რომლის ხელშიაც არის ჩვენი ბედი, რომელმაც რუსეთის რევოლიუციაზე ასეთი დიდი გავლენა მოახდინა. ომი, რომლის ქარცეცხლში თითქოს ჩვენ არ ვიმყოფებით, ახდენს აგრეთვე გავლენას ჩვენს ცხოვრებაზე, აფერხებს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას. საერთაშორისო ომი ჯერ არ დამთავრებულა, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება შეირყა, მთელი ყურადღება ხალხისა იქითკენ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენონ ერთმანეთს, მოსპონ ყოველივე ის, რაც კაცობრიობას დიდი შრომის და ენერგიის დახარჯვით შეუქმნია. არ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც არ განიცდიდეს ამ ომის შედეგებს და ასე თუ ისე ომი არ ახდენდეს მათ ცხოვრებაზე გავლენას. ომმა დაასუსტა დემოკრატია და ვიდრე ომი არ გათავდება, არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც შესძლებდეს დემოკრატიის ფეხზე დაყენებას.

ჩვენ ნაწილი ვართ განათლებულ კაცობრიობისა, ჩვენი ბედი მათ ბედთან არის დაკავშირებული და ჩვენი არსებობაც დამოკიდებულია ომის შედეგებზე. ომი აღმოცენდა სხვადასხვა ქვეყნების ფინანსიურ კაპიტალის მეტოქეობაზე. იმპერიალისტებმა მიზნათ დაისახეს იარაღის საშუალებით გაეფართოვებიათ თავიანთი ტერიტორიები და როცა იფეთქა რუსეთის რევოლიუციამ, გვეგონა, რომ დაიბადა მესამე ძალა, რომელიც შესძლებდა შემოეკრიბა ყველა ქვეყნების პროგრესიული ძალები იმპერიალისტ კოალიციებთან საბრძოლველათ. გვეგონა, რომ რუსეთის დემოკრატიის მიმართვა ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო იქნებოდა მომქმედ მამოძრავებელ ძალათ, რომელიც იძულებულ გახდიდა იმპერიალისტებს უარი ეთქვათ დაპყრობითი მიზნებზე. დემოკრატია იმედებით აღივსო, ეგონა თავს დააღწევდა ომის კლანჭებს, მაგრამ, სამწუხაროთ, ანარქიამ და შინაურმა ომმა რუსეთის რევოლიუცია და ამარცხა. ამან კი გაცილებით უფრო დაგვაშორა ზავს. რუსეთის რევოლიუციის დამარცხებას შედეგათ მოყვა რეაქცია სხვა სახელმწიფოებშიაც. რუსეთის დემოკრატიის დასუსტება, ეს დასუსტება იყო საერთაშორისო დემოკრატიისა. ყველგან გამეფდა რეაქცია: ერთი წლის წინათ რუსეთი დღესასწაულობდა რევოლიუციის სიძლიერეს—მაშინ გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო კომპრომისული რეზოლიუცია ზავსა, ინგლისის დემოკრატია ეპირებდა სტოკგოლმის საზაო კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებას, მაგრამ რუსეთის დემოკრატია დასუსტდა და შესუსტდა აგრეთვე დემოკრატიის ბრძოლა ზავისათვის. საერთაშორისო დემოკრატია მარჯვნივ გადაიხარა, თავი წამოყვეს შოვინისტებმა; გაძლიერდა ომის მომხრეთა პარტია. განმეორდა 1914 წ. პირველი წელი ომის, როდესაც მომტეხული ნაწილი კაკობრიობისა კაცი-ჭამიობის გზას დიადგა. დემოკრატიული მოძრაობის ჩაკვლა არ ძალუძს არავის. დემოკრატიის საბოლოოთ დამარცხება—ეს შეუძლებელი საქმეა, მაგრამ ამ დროებითი დასუსტებას შეუძლიან ფართო ასპარეზი მისცეს შოვინისტურ იდეათა გავრცელებას ხალხში. უნდა ახსოვდეს ქართველ დემოკრატიას, რომ ამ მოკლე ხანში არავითარი დახმარების იმედი არ უნდა ქონდეს მას სხვა ქვეყნის დემოკრატიიდან. ჩვენი დემოკრატია თავის ძალაზე უნდა იყოს დაყრდნობილი. და მისი ცდა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ გამაგრდეს და გაძლიერდეს შიგნით. დაიმხო რუსეთი. გაძლიერდა რეაქცია. ამას კი მოყვება შორეულ მომავალში გადადება იმ მომენტისა, რომელსაც რუსეთის რევოლიუციის დასაწყისში ყველანი მოელოდენ. ორი მებრძოლი ძალა ერთმანეთს დაეჯახენ. მთელი თავისი სიძლიერით;—ჩვენ ომის ბოლო გვეჩვენებოდა ძალიან შორეულათ, რადგანაც გარდა იმისა, რომ ვგრძნობდით ძნელი იყო ერთი ან მეორის საბოლოოთ დამარცხება, აგრეთვე უფრო რთული და ძნელი მოსაგვარებელი საქმე იყო მსოფლიო ბაზრის გაყოფვა. ეხლა კი, რუსეთის დამარცხებამ ნათელყო ჩვენთვის ერთი რამ: გამოსავალი ამ ომისა იქნება რუსეთის ტერიტორიის გაყოფვა. სამწუხაროთ, ის ქვეყანა, რომელიც მოითხოვდა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს, გახდება ზავის ჩამოგდების ობიექტათ ანექსიით და კონტრიბუციით. ნაწილი სალი მოაზროვნე დემოკრატიისა უკანასკნელ ძალღონეს იკრებს იხსნას მხარე ამ საშინელ შედეგებიდან, მაგრამ მას ეს არ ძალუძს. ეს მის ძალას აღემატება, რადგანაც რუსეთს ახვევია არა მარტო გარეშე მტერი, არამედ—შინაური არევდარევა და ანარქია საბოლოვო ლახვარს სცემს მას. დაბრუნება იმისა ამ მოკლე ხანში, რაც დაკარგა რუსეთმა, მას არ შეუძლია. იმპერიალისტური მადის გაღვიძება, საშინელი რეაქცია გვასუსტებს ჩვენც.

ჩვენ მომწყვდეულნი ვართ ამ ომის ქარცეცხლში, ჩვენ არ შეგვწევს იმდენი

ძალონე ჩავაქროთ ეს ცეცხლი. ჩვენ ვემყარებით იმპერიალისტური ძალების ინტერესთა წინააღმდეგობას. ამ ეთ პირობებში იქნებოდა თავის მოტყუება, რომ გვეფიქრნა თითქოს ჩვენ შეგვძლებთ დავიცვათ და განვახორციელოთ სავსებით დემოკრატიული პრინციპები. ამ გვარი იმედებით თავის კვება არ არის სწორი.

ჩვენ არ უნდა მივბაძოთ მათ, ვინც რუსეთში საკ პოლიტიკის მაგიერ უპასუხისმგებლო ფრაზელოგიას მიყვეს ხელი და არ უწევდენ ანგარიშს ძალთა განწყობილებას. ჩვენ უნდა შევკავშირდეთ და საერთო ძალონით უნდა ვეცადოთ ავაცდინოთ ჩვენ ქვეყანას ყოველივე ჭირი.

თვით ისეთ ქვეყნებში, სადაც ფინანსიური კაპიტალი უაღრესათ არის განვითარებული, სადაც სახელმწიფოს აპარატი კარგათ არის მოწყობილი, თვით ეს ქვეყნები დიდი ეკონომიურ კრიზისს განიცდიან და რა თქმა უნდა ჩვენთვის ძნელი იქნება ჩვენი მხრის ეკონომიური მდგომარეობის სრული გამოკეთება. თქვენმა ხელმძღვანელმა წრეებმა აირჩიეს ის გზა, რომელსაც ამ საერთო ქარცეცხლში შეეძლო გადაერჩინა ერი ფიზიკურ განადგურებისაგან, ჩვენ შევუერთდით ისეთ ძალას, რომელმაც გადაგვარჩინა ოსმალთა ოკუპაცი საგან ზოგიერთი ამხანაგები გვირჩევდენ დაგვეჭირა კავშირი ბოლშევიკებთან, გვიქადაგებდენ ინგლისის ორიენტაციას, მაგრამ აძლევენ ესენი ანგარიშს თავიანთ თავს ეხლა, იმ შავი დღეების შემდეგ, რომელიც დატრიალდა ბაქოში? ბაქომ, რომელმაც არ გასწყვიტა კავშირი რუსეთთან, არამც თუ ვერ დარჩა რუსეთის ფედერატიულ კავშირში, არამედ - მან უბრალო გარანტიაც კი ვერ მიიღო ოსმალოებისაგან მშვიდობიან მცხოვრებთა სიცოცხლის უზრუნველსაყოფათ. ეს პოლიტიკური ავანტიურა იყო ბაქოს მესვეურებისა. ჯერ სავსებით მეხს არც დაეჭექნა ბაქოში, რომ მათმა უპასუხისმგებლო მეთაურებმა გემები დატვირთეს და სამშკიდობოს მიაშურეს. შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, თუ რომელი კოალიცია სჯობია—ინგლისის თუ გერმანიის,—რომელი უფრო მეტ გარანტიას მოგვცემს. ინგლისის ორიენტაცია მიიყვანდა ჩვენ ქვეყანას ოსმალების მიერ დაპყრობამდე. ამის მაგალითს ბაქო იძლევა, ჩვენ არ გვინდოდა გვენახა ის სანახაობა, რაც მოხდა ბაქოში, როგორიც გინდა სამფუხარო არ იყოს ჩვენი მდგომარეობა, ჩვენ მაინც შევუნარჩუნეთ ხალხს ფიზიკური არსებობა. თუ ჩვენი მხარე გადარჩა განადგურებას, ეს ჩვენი საღი პოლიტიკის წყალობით, ჩვენ ვიხსენით ოსმალთ შემოსევიდან არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ—გადავარჩინეთ განადგურებას ის ჩვენი მეზობლები, რომელნიც ჩვენს ტერიტორიაზე სცხოვრობენ ჩვენ ოსმალებს დავუყენეთ წინ რეალური დაბრკოლება. და მგონია, რომ ყველა ჩვენი მოწინააღმდეგენი უნდა დარწმუნდენ, რომ უკეთესი გამოსავალი არ იყო ამ რთულ საერთაშორისო მდგომარეობიდან. რასაკვრელია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მივაღწიეთ და მოვიპოვეთ სრული პოლიტიკური თავისუფლების გარანტია, შეთანხმების პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ტ თუ ჩვენ მეზეროთ დარაზმული და შეკავშირებული არ ვიქნებით, მაშინ არავითარ გარეშე ძალას არ შეუძლია ჩვენი ხსნა. ეხლა სწარმოებს მოლაპარაკება ეკონომიურ შეთანხმებაზე, ჩვენ მივიღებთ ყოველივე ღონეს, რომ ეს შეთანხმება არ იყოს განმანადგურებელი და მომსპობი ჩვენი ეკონომიური არსებობისა. თუ უცხო ქვეყნის კაპიტალი უკანტროლოთ დატრიალდება ჩვენში, ეს დაღუპავს ჩვენ ეკონომიურ ბაზას. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ უფლებები ყველა ჩვენ ეკონომიურ სიმდიდრეზე, ჩვენ უნდა ვიყოთ პატრონი ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრისა. მართალია, ჩვენ არ ძალგვიძს გარეშე კაპიტალის დაუხმარებლივ დავამუშაოთ ყველაფერი და ავაყვავოთ მრეწველობა, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ამ კაპიტალმა არ ამოსწოვოს ყოველივე წვენი ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრისა. ასეთ პირობებს ჩვენ შევქმნით, რადგანაც თვით გერმანია დაინტერესებულია თავის მდგომარეობის და ავტორიტეტის განმტკიცებაში საერთო პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ამისთვის კი საჭიროა შევქმნათ მწყობრი სახელმწიფოებრივი მექანიზმი. ჩვენი ვალია ავასრულოთ გერმანიის წინაშე ყველა ის პირობები, რომელიც ჩვენ დავდეევით. სამაგიეროთ, უნდა მოვთხოვოთ მათ დაცვა გარეშე მტრისაგან. ჩვენ დავადექით გერმანიასთან შეთანხმებითი გზას, მაგრამ ჩვენ არ უნდა გაგვიტაცოს ავანტიურისტულმა პოლიტიკამ. ჩვენ მტრულათ არ უნდა ვუცქიროთ სხვა კოალიციებს. ჩვენი მიზანია დავიცვათ მუდმივი ნეიტრალიტეტი. ჩვენ პირდაპირ გულახდილად, დაუფარავი ზრახვებით ვიღებთ ყველა იმ პირობებს, რომელიც ჩვენ მიერ იქნება დადებული. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ჩვენ სა[illegible] ეკონომიურ კეთილ მეზობლობ[illegible]

[illegible] ეს ეკონომიური კრიზისი, რომ პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შემდეგ წავიდეთ წინ, სოციალიზმისკენ. ჩვენი მიზანია ავაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც შესძლებს დემოკრატიულ იდეების დაცვას და რგვოლიუციით მონაპოვართა განმტკიცებას.

ამ აღმშენებლობის დროს ჩვენ გვიხდებოდა ბევრი პოზიციების დათმობა. ჩვენში მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც ფიქრობენ— ღირს თუ არა ძალაუფლებების შერჩენა ამ გზით, როდის ექნება აღსასრული პოზიციების დათმობას და თუ საზღვარი არ ექნება, მაშინ დემოკრატიამ ძალა - უფლება სხვა კლასს დაუთმოსო. ეს ძძიმე ფსიხოლოგიური მდგომარეობაა სოციალისტისა, რომელსაც კისერზე მძიმე ლოდივით დააწვა სახელმწიფოს შენება ასეთ პირობებში. დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანს განუცდია ეს. ეს კითხვა მეც წინ მიდგა, მაგრამ სახელმწიფოსთვის თავის მინებება ეს დაღუპვა იქნებოდა დემოკრატიისა. სოც.-დემოკრატიამ, რომლის გარშემოც შემოკრებილია მთელი დემოკრატია, ვალდებულია ზიდოს მძიმე უღელი სახელმწიფოს აღმაშენობლობის, რათა არ დავკარგოთ ის, რაც მოპოვებული გვაქვს. რა მწარეც არ უნდა იყოს ჩვენი ბედი, მთავრობას ჩვენ აუცილებლათ უნდა ვუდგეთ სათავეში, რადგანაც უამისოთ არ შესრულდება დემოკრატიის მიზნები.

ერთი მთავარ საკითხთაგანი—მიწის რეფორმაა, რომელიც მტკიცე საფუძველია ჩვენი დემოკრატიულ აღმაშენებლობითი მუშაობაში. გვაქვს ხელთ უდიდესი მონაპოვარი, ეს ხალხის მმართველობაა. ძალა-უფლება ხალხის ხელშია და თუ ჩვენ შევინარჩუნებთ ყოველ ცოცხალ ძალებს ეკონომიურ შეგნების გარშემო, ჩვენ ვიცით, რომ მეგქნენით მტკიცე პირობებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის. და თუ ჩვენ შევძელით შენარჩუნება ხალხისათვის ამ მონაპოვრებისა, ამით ჩვენ შევქმნით შესაძლებლობას მომავალში, როცა პოლიტიკური ჰორიზონტი შავი ღრუბლებისგან გაიწმინდება, რომ ჩვენმა დემოკრატიამ ძ

ა ხელი გაუწოდოს ინტერნაციონალურ პროლეტარიატს. ეი ამიტომ არ შეგვიძლია ჩვენ მივანებოთ მთავრობას თავი და სხვას გადავცეთ ძალა უფლება.

განსაკუთრებული მდგომარეობაა. ყველგან საოცარ სურათს ვხედავთ: საქონლის ნაკლებობა, სიძვირე და სხ. ყველა ამას ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ, რომ ძნელია მდგომარეობა, მაგრამ რომ ეს ანარქიათ არ გადიქცეს და მთლად არ დაიღუპოს მხარე, საჭიროა ჩვენი ქვეყნის პატრონათ იყოს პროლეტარიატი.

ამ დროს ჩვენ ჩამორჩენილ გლეხებისაგან გვესმის, რომ მოგვეცით ძველი რეჟიმი, მაშინ პურიც გვქონდა და ყველაფერიო. მათ არ იციან, რომ დღეს მათრახით და მუქარით არც ერთი ნაჭერი პურის მიღება არ შეიძლება. ძველ რეჟიმს, ძველ წესრიგს არაფრის მოცემა არ შეუძლია. ასეთი წესრიგის შედეგებს თქვენ ხედავთ მეზობელ სახელმწიფოში, სადაც მთელი მასსა გადაქცეულია ზოოლოგიურ ჯოგათ. ჩვენი პროლეტარიატის უდიდესი ღვაწლი ის არის, რომ მან ალლო აუღო მდგომარეობას—და გაფურებულად იბრძვის ყველა ფრონტებზე, მან სწორედ დაფასა მომენტი და მიხვდა, რომ ხსნა მდგომარეობს მხოლოდ მტკიცე დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებაში. ამ მიზნით მან სასწორზე დადვა ყველაფერი ის, რაც მისთვის ძვირფასი იყო, მაგრამ საკითხი ჯერ გადაჭრილი არ არის.

და აი, ამხანაგებო, როცა ყველა ეს პირობები სალტეთ შემოგვერტყა ჩვენ და ჩავდექით ძმიმე პირობებში, ჩვენ ანგარიში გავუწიეთ ყველა ამ პირობებს, რომ შეგვინარჩუნებია რევოლიუციის მონაპოვარნი. ჩვენი მთავარი მიზანია ეხლა, შევქმნათ სახელმწიფოებრივი აპარატი ცხოვრებაში ძირითად დემოკრატიულ რეფორმების გასატარებლათ. დემოკრატია შემოკრბა თავის მთავრობის ირგვლივ, რომ გაძლიეროს ის და მისცეს მას შეძლება სახელმწიფოებრივი მუშაობისა.

აქ გაკვრით შეეხენ იმ კონფლიქტს, რომელიც მოხდა მთავრობასა და თქვენს ცენტრ. კომიტეტს შორის. ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატი გულია მხარის. და [illegible] ეს გული სწორათ სცემს, [illegible] მოქმედებს მხარეს და [illegible]

[illegible] ალ ეს ეს ეს

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ.

…ს 20 სექტემბერს საღამოს 6 …ზე მე 6 სავაჟო გიმნაზიაში (უდე…ქ. № 3) დანიშნულია მე-4-ე რაიო…ალთა ორგანიზაციის კოლექტივის …ა.

…ᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

…ᲮᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. საᲮᲔᲠᲘᲡ რაიონში …ობო არჩევნები დასრულდა 40,000 …მიმცემიდან მთელ რაიონში გამო…და ყუთთან და არჩევნებში მონა…ობა მიიღო 1605 სულმა, ამათში …ალისტურმა ბლოკმა მიიღო 1140 …ციონალ-დემოკრატებმა—444 ხმა.

…ᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲭᲝ

17 სექტემბრის სხდომა.

(დასასრული)

…ᲛᲬᲧᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ **კარლო ჩხეიძე.**

…-პროექტი სახელმწიფო გერბის შესახებ.

…ᲛᲑᲡᲜᲔᲚᲘ **კ. მაყაშვილი** (უპარ…) სახელმწიფო გერბის საკითხი დაე…ჩვენს მთავრობას ორი თვის წი…როცა განიზრახეს ქართული ფუ…გამოცემა. მთავრობამ მოიწვია მცო…პირები, სპეციალისტები. მათ ყო…მხრივ განიხილეს ეს საკითხი და …გენეს სახელმწიფო გერბათ მიეღოთ …აკი გმირი თეთრი გიორგი შვიდი …ᲛᲗᲘᲗ. მთავრობამ მაშინ ამ სპეცია…ებს არ დაეთანხმა და მოისურვა …ათ ყოფილიყო განთავისუფლებული …ანი და ამის გამოსახატავათ კონ…აც კი დანიშნა, მაგრამ კონკურსზე …ინ არ წარადგინა არაფერი. …ᲔᲒᲐ ეს საკითხი გადავიდა …ᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ კომისიაში. კომისიამაც მი…თეთრი გიორგი და ეს არის წარ…დგინათ თქვენ. თეთრი გიორგი სა…ტიანო ეკლესიამ მიისაკუთრა და …დანათ დასახა, ხოლო თვით ფაბუ…გიორგისა ეკუთვნის არა ქრისტი…ეპოქას. გიორგი მებრძოლი, ხალ…დემოსის მფარველია, ის ხალხს …ᲠᲘᲡ და ამიტომ მიღებულ უნდა იქნას …ᲚᲛᲬᲘᲤᲝ გერბად.

…ᲬᲐᲠᲔᲗᲔᲚᲘ. ბატონებო! გერბის …ᲗᲮᲖᲔ მსჯელობა მეტად გაგრძელდა …ᲛᲘ თათბირში, ფრაქციებში, კომი…ᲘᲡ დიდი ხანია ეს საკითხი დასმუ…და დღემდე ვერ გადაუწყვეტიათ. …აკითხის შესახებ სოც-დემოკრატიულ …ᲤᲘᲐᲨᲘ არ არსებობს ერთი აზრი, …ᲤᲘᲐ არ ხედავს გერბის საკითხში …ᲛᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜ პოლიტიკურ საკითხს …ᲐᲛᲘᲢᲝᲛ მან თავის წევრებს მისცა …ᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ხმის მიცემის უფლება, და …ᲠᲝᲛ, რომ არც სხვა ფრაქციები შე…ᲕᲔᲜ თავიანთ ამხანაგებს ამ საკით…გადაჭრის დროს და თავისუფლად …მიცემის უფლებას მისცემენ. მე მინ…დავასაბუთო სოციალ-დემოკრატების …ᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑის აზრი ამ საკითხზე. ტყუ…ᲓᲔ ამბობს ბ. მაყაშვილი, რომ სოც.-…ᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ფრაქციაში ამირანი …ᲧᲕᲔᲡ. პირიქით ჩვენ ფრაქციის დი…უმრავლესობა ამირახის მომხრეა. …ᲓᲔᲒ ორატორი ეხება სახელმწიფოს …ᲜᲘᲡ ხასიათს და ამას უკავშირებს …ᲑᲘᲡ სახესაც და ამბობს: იქ, სადაც …ᲚᲛᲬᲘᲤᲝ სტიქიურად შეიქმნა, სა…ᲛᲬᲘᲤᲝ გერბიც სტიქიური მიიღეს. …Ი, სადაც სახელმწიფო შეგნებულად …ᲛᲝᲘᲨᲝᲗᲐ, გერბიც ამ შეგნების გა…ᲢᲐᲢᲔᲚᲘ და დამასურათებელი უნდა …Ს. შემდეგ ორატორი ახასიათებს იმ …ᲜᲢᲘ და პირობებს, რომელში…ᲘᲡ წარმოიშვა და იქმნება ჩვენი …ᲚᲛᲬᲘᲤᲝ და ამბობს, რომ ჩვე…სახელმწიფო სტიქიურად არ წარ…ᲝᲑილა, ის შეგნებულად იქმნება. …ᲐᲥ საქმე არა გვაქვს არც ძველი …ᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑის აღდგენასთან, ამაზე ლა…ᲘᲡ შეუძლებელია, ჩვენი ხალხი ხელ…ᲕᲐᲜᲚᲔᲚᲝᲑდა, როცა ის სახელმწიფოს …ᲜᲓᲐ არა ტრადიციით, არა ძველის …ᲓᲒᲘᲜის სურვილით და მისწრაფებით, …ᲛᲔᲓ იმ პირობებით, რომელშიაც ჩა…ᲓᲐ საქართველო და იმ ძალთა განწ…ᲘᲚᲔᲑით, რომელიც განაგებდა ჩვენს …ᲓᲐ ᲔᲠᲝᲑᲐᲚს. აქ ყოველი ნაბიჯი …ᲜᲘᲚ დაწონილი იყო, მისი გადადგმა …ᲜᲔᲑᲘთ ხდებოდა. აქ ორატორი ნათ…Დ ასურათებს ჩვენი ხალხის მაშინდელ …ᲔᲠ მდგომარეობას და ამბობს, რომ …Თ დროს და შემთხვევაში სახელმწი…Ს გერბი ნათლად უნდა გამოხატავ…ᲮᲐᲚᲮᲘᲡ სულიერ მდგომარეობას, იმ …ᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ, რომელშიაც ქართველი …ᲮᲘ იმყოფებოდა როცა ის საქართვე…Ს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხა…ᲓᲐ ჩვენი ხალხი მიისწრაფოდა საკა…ᲑᲠᲘᲝ იდეალებისაკენ, მაგრამ მას გარს …ᲒᲘᲝრგიორგნები ეხვია და სულს უხუთავდა, მი…ᲓᲐᲕᲐᲓ ამისა მან ᲘᲫᲚია დაბრკოლე…Ს და ბრძოლას განაგრძობს. მაყაშვი…ᲘᲪᲐᲕდა რა გიორგის, ამბობდა, რომ …ᲝᲠᲒᲘ წმინდანი არ არის, ის კერპთა…ᲜᲘᲡმცემლობის დროს არის წარმოშო…ᲚᲘ და თეთრი გიორგიაო. მე კი ვი…ᲕᲘ, რომ ყველა წმინდანები კერპთ…ᲗᲐᲜისმცემლობის დროს არიან წარ…ᲛᲝᲑილნი და რაცა მათ ისინი ვერ დასძლიეს, მაშან საქრისტიანო ეკლესიამ ისინი წმინდანებათ გამოაცხადა. ამირანი კი (ვეშაპელი ადგილიდან: წითელმა გვარდიამ მოითხოვა, არა?) აქ პირველად უწევს ანგარიშს ბ. ვეშაპელი სახალხო გვარდიის მოთხოვნილებას და ამას რასაკვირველია თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ უნდა გითხრათ ბატონებო, რომ სახალხო გვარდიის ხელმძღვანელი ამხ ვალ. ᲯᲣᲚᲔᲚი ამირანის მომხრე იყო. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ამირანის გამოხატულება სწორედ გამოხატავს ჩვენი ხალხის ნამდვილ მდგომარეობას. ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ გერბათ რაინდი, ჩვენი ხალხი, როცა დამოუკიდებლობას აცხადებდა, მაშინ სასოწარკვეთილებამდე იყო მისული. ჩვენ ისეთ პირობებში ვიმყოფებოდით, რომ ყოფნა არ ყოფნის საკითხი იყო დასმული, ჩვენი ხალხი ვერ იტყვის, რომ მან სახელმწიფო შექმნა ისეთ დროში, როცა ყველაფერი რიგზე იყო და არაფერი არ უშფოთავდა გულს. პირიქით, ქართველი ხალხი, როგორც ზევით ვსთქვი გარს შემორტყმული იყო მტრებით და მისი სულიერი მდგომარეობა გამოიხატებოდა იმ შავი ღრუბლების გავლენით, რომელიც ჩამოწოლილიყო პოლიტიკურ ჰორიზონტზე. ამ მდგომარეობას გამოხატავს ამირანი. (როცა მდგომარეობა შეიცვლება?—ივანიკი). როცა მდგომარეობა შეიცვლება და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა გამოირკვევა, მაშინ ეს ამ დროის, განცდის და სულისკვეთების გამომხატველად, ემბლემად დარჩება. ჩვენ რამდენიმე დღის წინეთ მივიღეთ სამფეროვანი დროშა და მაშინ ჩვენმა ფრაქციის წარმომადგენელმა სამართლიანად განაცხადა, რომ ჩვენ პარტიისათვის გვაქვს წითელი დროშა, ხოლო სახელმწიფოსათვის მხარს უჭერთ სამფეროვან დროშასაო, ჩვენ ახლა ვიტყვით, რომ როცა სოციალისტური სახელმწიფო გვექნება, მაშინ წითელი დროშაც სახელმწიფო დროშათ იქნება გამოცხადებული და აფრიალებული, მანამ კი სამფეროვანი დროშა უნდა ექნეს ჩვენს სახელმწიფოს. შემდეგ ორატორი ვრცლად აღნიშნავს ამირანის უპირატესობას, ასურათებს სახალხო გვარდიის სურვილს და საერთოდ ერის სულიერ განწყობილებას და დაასკვნის, რომ ამირანი, რომელმაც ცალი ხელი განითავისუფლა ჯაჭვისაგან და გულდაფლეთილი იბრძვის განსათავისუფლებლად, საუკეთესო გამოხატველია დღევანდელი ჩვენი მდგომარეობის და ამიტომ ჩვენი ფრაქციის უმრავლესობა მას მხარს უჭერს.

გ. ვეშაპელი. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას არ სწამს ჩვენი სახელმწიფოს ტრადიცია. მე მიკვირს, თუ რათ არ გამოუცვლის ის საქართველოს სახელს, საქართველო—ესეც ხომ ტრადიციული სახელია. ჩვენს სახელმწიფოს აქვს სამი ტრადიცია მაინც და ეს ყველამ უნდა იწამოს, — ეს არის: „საქართველო, საქართველოს, საქართველოს დროშა და ეს გერბი. საქართველოს, როგორც ტრადიციულ სახელს სოც.-დემოკრატები არ უარყოფენ, ტრადიციული სამ ფეროვანი დროშაც მიიღეს. დარჩა გერბი, ესეც უნდა მივიღოთ. ბ. წერეთელი ჩვენს ხალხს აწერს პესიმისტურ შესიანიზმს მაშინ, როდესაც ჩვენს ხალხს ზეიმი და დღესასწაული მართებს. რა გასაკვირველია ეს მათგან. მათ ხომ საქართველოს დამოუკიდებლობა იძულებულ ნაბიჯათ მიაჩნიათ. წერეთელი ამბობს, რომ ღერბი უნდა გამოხატავდეს ჩვენი ხალხის სულიერ მდგომარეობასო. ეს პრინციპი რომ მივიღოთ, მაშინ ჩვენი ხალხის ყაჩაღურ სულიერ მდგომარეობას არსენა ოძელაშვილი გამოხატავს და ის მივიღოთ. ამირანის მიღება შეუძლებელია. ის კარგი საქმისათვის არ არის მიჯაჭვული, მან ღმერთი, ზევსი მოატყუა და იმიტომ დასაჯეს. ხოლო თეთრი გიორგი წმინდანია, კეთილი მიზნებით და აზრებით გამსჭვალული რაინდი და ის უფრო შეეფერება ქართველ ხალხის ფსიხოლოგიას და ამიტომ ჩვენი სახელმწიფო გერბად უნდა მივიღოთ.

ა. ფალავა. სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციაშიც თავიდანვე იქნა მიღებული პრინციპი ამ საკითხის დროს თავისუფლად ხმის მიცემისა. ჩვენი ფრაქციის დიდი უმრავლესობა გიორგის უჭერს მხარს. ორატორი ეხება დებულებას ირ. წერეთლის მიერ წამოყენებულს, რომ ამირანი გამოხატავს ხალხის დღევანდელ მდგომარეობას და სულიერ განწყობილებასო და ამბობს, რომ მომავალში, როცა მდგომარეობა შეიცვლება ამირანი არ იქნება კარგი ღერბი ღერბი უნდა იყოს მარადისობის გამომხატველი, ემბლემა მარადიულისა. ჩვენ გვინდა გიორგი გარდავქმნათ მარადიულ რაინდათ, ის მარადიულობის ნამდვილი გამომხატველია, იყო, არის და იქნება და ამიტომ უჭერს მხარს მას ჩვენი ფრაქცია.

კენჭის ყრის შედეგი ასეთია: გიორგის მომხრე აღმოჩნდა 33 დეპუტატი, მოწინააღმდეგე 17; ამირანის მომხრე 16, წინააღმდეგი 34. ამ რიგათ ღერბათ მიღებულ იქნა თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

სეფე მინას ძე ჭელიძე

(რაჭის მაზრის სოფ. ბაჯის მცხოვრები)

სახალხო გვარდიის ტყვიისმფრქვეველთა რაზმის სახელოვანი უფროსი და ხელმძღვანელი.

გარდაიცვალა ანთებით თფილისში, 5 სექტემბერს 1918 წელს.

რკინის გზაზე

უბილეთოების შესახებ.

ვინ გინდათ დღეს რკინის გზას არ ძარცვავდეს. ძარცვავდეს მეთქი, მე ვამბობ, რადგანაც უბილეთოდ სიარული უსათუოდ უნდა მიეწეროს ძარცვა-გლეჯას და ქურდობას. ამისათვის უბილეთოებიც იმ წესით უნდა ისჯებოდეს, რა წესითაც ისჯებიან მძარცველები ათასი ჯურის სპეკულიანტები, ნამყოფი ჯარის კაცები, აფიცრები, მოსამსახურეები, მღვდლები, ბერები, ქალი, დიდი, პატარა ყველა უბილეთოდ დადის. რკინის გზა მათ საჯიჯგნათ გამხდარა. უმეტეს ნაწილათ უბილეთოები დადიან საქონლის, წყლის და მუშა-მატარებლებით. ამას წინათ სადგურ ავჭალაში იდგა საქონლის მატარებელი წინ მომავალ მატარებლის მოლოდინში. ამ მატარებელზე იქნებოდა ათასზე მეტი კაცი უბილეთო, რომლებიც ჯავრობდენ კიდეც: რათ გვიჭერენ ამდენ ხანსო. მივმართე მილიციონერებს წინადადებით, რომ დეპეშით გადაეცა თფილისისთვის და მიეღოთ ზომები, მაგრამ არ ქნეს. სულ ერთია, მაინც არაფერი გამოვაო. კანონის ძალით 14 ათას მანეთზე მეტი უნდა გადაეხადათ თფილისში გორიდან ორმაგი ბილეთის ფასი—ჯარიმის სახით. მაგრამ კაპეიკაც არ გადაუხდიათ, რადგანაც საჭირო დარჩა ძალა და ეს ძალა კი არ აღმოჩნდა. იყო შემთხვევა: გადავეცით ტელეფონით, რომ დახვედროდენ თფილისში საქონლის მატარებელს, რომლითაც აუარებელი მგზავრები მიდიოდა. მაგრამ არავინ არ დახვედრია თფილისში. მივმართე უფროს მილიციონერს და ვუთხარი, რომ ჩვენ ტელეფონით გადმოგეცით აუარებელი უბილეთო მგზავრები მოდის და თქვენ არაფერი ზომები არ მიგიღიათ მეთქი. კაცები არა გვყავსო, იყო მოკლე პასუხი.

ნუ თუ არ შეიძლებოდა რამოდენიმე კაცი მოემატებიათ მილიციონერებისა, რომლებიც სპეციალურათა იქნებოდა მარტო მატარებლების დასახვედრათ? აუარებელი სხვადასხვა საქონელი შემოაქვთ და გაიქვთ კონტრაბანდათ სხვადასხვა საეკვო პირებს. ამისათვის აუცილებლათ საჭიროა მილიციონერთა შტატის გადიდება თფილისში სადგურზე, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს რკინის გზას და შეამცირებს უბილეთოებს. 15 მანეთზე მეტი ჯდება დღეს ტყიბულის ნახშირი. ქუთაისამდი თფილისიდან და აქეთ უნდება ერთ ორთქმავალს ათას ფუთზე მეტი) ბევრი უბილეთოები კიდევაც ტრაბახობენ იმით, რომ მათი საუცხოვო მოხერხების მეოხებით არასოდეს ბილეთებს არ ყიდულობენ და ასე მუდამ ძარცვავენ რკინის გზას. მათ ვერ შეუჯნიათ, რომ რკინის გზას კი არა უფრო რომ თავის თავს ატყუებენ, ვერ გაუგიათ ჯერ, რომ მთელი რკინის გზა მთელ ხალხს ეკუთვნის და არა ერთ რომელიმე თვითმპყრობელს, სასტიკი ზომები შეაჩვევს უბილეთოებს წესიერებას. ზომების მიუღებლობა კი მთლათ რყვნის მათ. არა ნაკლები ბრალი უდევს უბილეთოების გამრავლებაში კონდუქტორთა ბრიგადას. თუმცა ისინი იმით იმართლებენ თავს, რომ ვითომც უძლურნი იყვნენ უბილეთოების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს არ არის მართალი. უძლურნი იქნებიან მართალია, როდესაც გაავსებენ მატარებელს უბილეთოებით თორემ, რომ დროზე იქნას მიღებული ზომები კონდუქტორთა მიერ, შეუძლიათ არც ერთი მგზავრი უბილეთო არ გაატარონ, რადგანაც უბილეთოები ერთბაშათ რამდენიმე ათეულები არ აწყდება მატარებელს და გროვდებიან, მხოლოდ თანდათანობით. როდესაც ხედავენ მგზავრები სადგურებში, რომ მატარებელზე სხედან უბილეთო მგზავრები, თვითონაც მხნევდებიან, ასხდებიან მატარებელს და არხეინათ მიემგზავრებიან საითაც სურთ. კონდუქტორების გვარი და სახელები, რომლებსაც აღმოაჩნდება უბილეთოები, უნდა იქნას გამოცხადებული გაზეთში, რომ კონდუქტორთა კორპორაციამ ისინი პასუხისგებაში მისცენ.

დიდ გულგრილობას იჩენენ აგრეთვე ზოგიერთი სადგურის მილიციონერები, სადგურის უფროსები, მორიგე აგენტები და სადგურის უფროსის თანაშემწეები უბილეთოების მიმართ. მხოლოდ ასეთ გულგრილობას არ იჩენენ ეს ზემოხსენებული პირები ჯამაგირის აღების დროს; რომ მათ მაღლა ახედვა შეეძლოთ, დაინახავდენ, რომ ჯამაგირი მათ ეძლევა შემოსავლიდან. დასასრულ საჭიროა, რომ უბილეთოების რიცხვი შემცირებულ იქნას, სანამ სახალხო მატარებლების დაუგვიანებლად დაიწყებდეს სიარულს და ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდეს რამოდენიმე კლასი ვაგონები მიბმულ იქნენ საქონლის მატარებლებზე ბილეთების გაყიდვის ნებართვით ორივე მხრით და ასეთ მატარებლებზე უნდა იყოს დანიშნული კონტროლიორი.

კან. სანი.

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲚᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲨᲠᲝᲜᲢᲘ

17 აგვისტოს თფ. აღმ. კ. საგანგებო რაზმი გამოვიდა გ. გრიდინ და გაემგზავრა ოჩამჩირესაკენ, საიდანაც გამოურკვეველი ხმები აღწევდა ჩვენამდის აქმის ვითარების შესახებ. სოხუმში მივიღეთ დანიშნულება მოქვის მონასტრისაკენ წასვლისა, რომელიც ოჩამჩირედან მთებისაკენ 20 ვერსზეა დაშორებული და სადაც იმყოფებოდა სხვადასხვა ნაწილები სახალხო გვარდიისა.

120 აგვისტოს დანიშნულ ადგილას მივაღწიეთ. მონასტერში გავიგეთ, რომ ასკერები და ადგილობრივი აფხაზები მონასტერში დასცემოდენ გვარდიელებს, რიცხვით 40 კაცს, 2 ათასამდე მოწინააღმდეგე დაემარცხებია. შემდეგ ჩვენებს ჯარი მიმატებოდათ და ოსმალეთის ასკერებიდან გაეწმინდათ ახლო-მახლო სოფლები. ამასთანავე მოქმედება სწარმოებდა ასკერების წინააღმდეგ ტგერდში. მონასტერში ჯარი დიდ გაჭირვებას იტანდა სურსათის უქონლობის გამო. 24 აგვისტოს საგანგებო რაზმი პორუჩიკ ნოვიკოვის და სამსონ ღლონტის მეთაურობით უნდა გამგზავრებულიყო აჩმეზმახის მთაზე, და იქ გზა დაეკავებია, რომ ამ გზით უკან დახეული ასკერები დაგვიტყვევებია. მონასტრიდან ეს მთა 40 ვერსის სიშორეზე იქნება. გზა საცალფეხო და მეტად ვიწრო. ტყვიის მფრქვეველები და ლენტები ხელით ვათრიეთ, უნაგირი ცხენების ხელით მიგვქონდა და თვით ცხენებსაც დახმარება სჭიროდა. წინ მიმავალმა ზოგიერთმა ამხანაგებმა ნოტიო მიწაზე შეამჩნიეს წინ მავალი კაცის ფეხის კვალი. როცა მეგზურებს ვკითხეთ მათ დაგვამშვიდეს „ის მეჯოგე იქნებაო“ და „ნუ გეშინიათო“. იგინმა, როგორც შემდეგ გამოირკვა, კარგათ იცოდენ, რომ ეს კაცი მათ მიერ გაგზავნილი ჯაშუში იყო ასკერებთან მთაზე იმის შესატყობინებლათ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯარები რა დროზე ამოვიდოდენ მთაზე თათრების წინააღმდეგ. ჩვენთან ყოფილ მეგზურებმა, როცა ერთი მთის წვეროზე ავედით და იქ გვინდოდა ღამის გათევა, გვაიძულეს წინ წავსულიყავით. მათ დაგვაიმედეს, რომ 3—4 ვერსში არაფერი საშიში არ არის და წყალიც არის. იქ ღამის გათევა ვეიძლებაო. რაზმი დაიძრა და საღამოს 9 საათზე ერთი ნაწილი დანიშნულ ადგილას მივიდა. ასვლისას წყალის საძებრათ წაგვიყვანა რამოდენიმე კაცი ერთმა მეგზაურმა და ისეთ ადგილას ეძებდა წყალს, სადაც ის არ იქნებოდა. უჩვენოთაც ბევრი ეძება მან წყალი ყველა ისინი ისე გვაჩვენებდა თავს, თითქოს ამ ადგილებს კარგათ არიცნობდენ. აჩმეზმახის მთის წვერზე ავედით, სადაც გადადიოდა ტგერდიდან გზა სვანეთში. გზაზე არავინ დაგვხვედრია. 25 აგვისტოს აქ გავჩერდით, დაღამდა. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. ოვალუწვდენი ხეები ირგვლივ ჯოჯოხეთურ სახეს აძლევდა არეულობას. შორს, დაბლა, მთის ძირში ისმოდა მდინარის ყრუ ხმაურობა. უდაბურ ტყეში, მთის მაღლობზე მკვდრული სიჩუმე გამეფებულიყო. მხოლოდ ახლათ ასული რაზმელების ხმაურობა არღვევს ბრდამ ს მყურდობას.

პორუჩიკ ღლონტმა და ნოვიკოვმა ამოსვლისას ირგვლივ ყარაულები დაყენეს, ყველა ყარაული არც კი იყო გასული, როცა რაზმმა თითქმის დაიძინა დაღლილობისაგან. წყალს მიაგნო ჩვენმა მეგზურმა და შემდეგ მიიმალა. მოვიკითხეთ მეგზური, ერთი არ აღმოჩნდა ჩვენს შორის. არ გასულა ხუთი წუთი მეგზურის გაპარვის შემდეგ, რომ მოგვესმა სავლე ყარაულის ხმამაღლა ძახილი: „ვინა ხარ, кто вы, кто идетъ“. არავითარი პასუხი ამ შეკითხვაზე არ მიუღია ყარაულს. შემდეგ მეგრულათ შეეკითხა ვინაობა უცნობ პირს. უცნობი მეგრულათ ეკითხება ყარაულს: „თქვენ ვინა ხართ მანდო“. მან უპასუხ: „ჩვენ ქართველი ჯარი ვართ და მეგრელებიც ურევია შიგო“. ამ-ს პასუხათ უცნობმა ჩვენს ყარაულს თოფი ესროლა და შემდეგ ყუმბარები დაეყარა. რაზმი, რიცხვით 60 კაცი, დაღლილი ტვირთის თრევის და სიარულისაგან დაძინებული იყო თითქმ-ს ამ დროს და როცა თოფი გავარდა, მაინც არ დაიბნენ, უცებ გაღვიძებულებმა, წაავლენ თოფებს ხელი, გაშალენ ელვის სისწრაფით ამ უცნობ ადგილას „ცეპი“ და შემოსეულ მტერს გმირულათ შეეგებენ. რაზმს სამი ტყვიის მფრქვეველი ქონდა.

საბედნიეროთ თოფის გავარდნისას გამზადებული გაიშალა ტყვიისმფრქვეველის ცეცხლი ყოველ მხრით და არ მისცა საშვალება მტერს შემოსვლის.. მტერს წინ და წინ სცოდნოდათ ჩვენ სად გავჩერდებოდით და ირგვლივ იმ ადგილ-ათვის სამი მხრიდან ალყა შემოერტყათ, ყუმბარის მსროლელები ხეებზე ყავდათ გაშვებული და იქიდან გვესროდენ. როცა ერთ „პულემიოტჩიკს“, რომელიც ტყვიისმფრქვეველით მოწინავე ხაზში იდგა ბომბი მაღლიდან ესროლეს, მან აიხედა მეღლა და ხეზე დაინახა კაცი, რომელიც ტყვიისმფრქვეველით ძირს ჩამოაგდო. მტრის ძალა ათას კაცამდე იქნებოდა. ოსმალეთის რეგულიარული ჯარის ნაწილიდან იქ 500—600 კაცამდე იყო, როგორც ჩვენმა ტყვემ გადმოგვქცა, დანარჩენები აფხაზები ყოფილიყვენ. რაზმი იერიშზე გადავიდა, მაგრამ მტერმა გვერდებიდან შემოიერა და უკანა გზა შეგვიკრა. აფიცერ შარაბიძეს გვერდიდან შემოვლება უნდოდა მტრისთვის, მაგრამ წაეწყდა იქვე ახლო მტრის „ცეპს“, რომელმაც ბომბები დააყარა ჩვენებს ზევიდან, ჩვენები იძულებული გახდენ რაზმისაკენ დაეხია. როცა მტერი ჩვენ ბინაზე ამოვიდა, პორუჩიკ ღლონტმა შენიშნა და მაუზერის ტყვია დააყარა, რაზმი ამ ხნის განმავლობაში ლომივით იბრძოდა.

იერიშზე გადასვლისას მტერმა პირი იბრუნა და გაიქცა. დამარცხდა წინა მხრიდან შემოსული მტერი, მაგრამ მარჯვენა და მარცხენა მხრიდანაც იყვენ ჩასაფრებული კიდევ ასკერები და როცა ერთ მხარეზე დამარცხდენ „ალას“ ძახილით და ბომბების გრიალით ამოცვინდენ მაღლა რაზმს მეტად ცუდი პოზიცია ეჭირა. მაღალი პოზიცია მტერს ეჭირა, დაბალი ჩვენ. რაზმი დარჩა გარშემორტყმული ყოველ მხრით წინ რომ წაწეულიყო, მაშინ უკანიდან გზა ექნებოდა გადაჭრილი. იყო ღამე და ადგილებს არ ვიცნობდით. არ ვიცოდით მტრის ძალაც დანამდვილებით, ვინაიდან დაცემა მოულოდნელი იყო. თუმცა წინა მხრით დავამარცხეთ მტერი, მაგრამ ასეთ პირობებში წინ წაწევა სტრატეგიული მოსაზრებით მაინც დაუშვებელი იყო. ამასთანავე პატრონები გამოგველია. თითოს 300 პატრონამდე ქონდა წამოღებული, მეტს ვერც წამოიღებდა, ტყვიისმფრქვეველების ლენტებიც დაიცალა. ერთი ტყვიისმფრქვეველი გაფუჭდა. ბევრს სრულიად არ დარჩენია პატრონები, დანარჩენებს დარჩა 40—50 ცალამდე. ბრძოლის გაგრძელება ამ პირობებში შეუძლებელი იყო. ნოვიკოვი და რაზმის ფელდფებელი ბოლქვაძე წინამდეგი იყვნენ უკან დახევის ნახევარი საათის ბრძოლის შემდეგ, მაგრამ, როცა უკანიდან გზა გადაგვიჭრეს ამ თვალუწვდენ კლდეებში და პატრონებიც დაელია რაზმელებს, მაშინ ისინიც დასთანხმდენ უკან დახევაზე. ნოვიკოვმა უბრძანა რაზმს წესიერად უკან დაეხია და ტყეში გაფანტულიყო. რაზმმა ბრძანება სისრულეში მოიყვანა. ორი ტყვიისმფრქვეველი გამოტანილ იქნა. მესამე ტყვიისმფრქვეველი პოზიციიდან ერთი ვერსის მანძილზე გამოიტანა ს. ჟღენტმა და გადამალა. ნოვიკოვი დაიჭრა ორ ადგილას, პარუჩიკი ღლონტი იქვე მოჰკლეს, აფიცერი შარაბიძე შერჩა რაზმს. სხვა აფიცრებს მოქმედება აღარ შეეძლოთ. პორუჩიკ ღლონტს თან ჰქონდა რაზმის ბეჭედი, რომელიც მასთან ერთად დაიკარგა. გზით უკან დაბრუნდა 25 კაცი და დაჭრილი პორუჩიკი ნოვიკოვი. ნოვიკოვს ფეხიდან ტყვია გაძვრა რაზმელმა გაიძრო თავისი წუღა და ჩაიცვა. ნოვიკოვი [illegible] ჰყავდათ. როცა ს. ღლონტის სიკვდილი გაიგო, დაჭრილმა [illegible] ორივე რევოლვერი და თავს იკლავდა. „თქვენ წადით, მე დამტოვეთ აქო“, ემუდარებოდა რაზმელებს. მაგრამ ჩვენ რევოლვერი წავართვით და არ დავსტოვეთ.

25 კაცმა რამდენიმე ათეული ვერსი უკან წამოვედით და როცა სოფელს დავუახლოვდით შეგვხვდა ორი კაცი, რომლებსაც პაკეტი მოჰქონდათ ნოვიკოვთან. წერილი 3 ლკოვნიკ-დან იყო. იწერებოდა: აჩმეზმახის წვერში ნუ ახვალთ, იქ თათრების ჯარი ყოფილა, გაჩერდით მოშორებითო და სხ. ღამის 3 საათი იქნებოდა. 25 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე შეტაკება მოგვიხდა. 11 საათზე უკან დავიხიეთ. ღამ-ს სამ საათზე ასეთი ცნობის მიღება გვიანი იყო. სოფლის კომისარს 25 აგვისტოს ეცნობებია პოლკოვნიკისთვის საქმის ნამდვილი ვითარება და მაშინვე გამოეგზავნა პოლკოვნიკს ცნობა. მაგრამ ვერ მოგვისწრო დროზე. ჩვენ გავჩერდით ისეთ ადგილას, სადაც ერთი ჩამოსავალი იყო მთიდან, დავნიშნეთ იქ ყარაულები და გავგზავნეთ ცნობა შტაბში პოლკოვნიკთან. მეორე და მესამე დღეს ტყეში გაბნეულები დაბრუნდნენ. მათ შორის არ იყვნენ რაზმის უფროსი პორუჩიკი ს. ღლონტი, სურგულაძე, რამიშვილი და ამაღლობელი. 26 აგვისტოს დილით გვარდიის შტაბის წევრები ამოვიდენ ჩვენთან. მალე რაზმელებთან ერთად ჩვენი მეგზურებიც მოვიდენ. შტაბმა მოახდინა სხდომა და გამოირკვა, რომ პოლ თუხარელის მიერ გამოგზავნილი მეგზურებ ოსმალეთის ჯაშუშები ყოფილიყვენ. ორივე მეგზური იქავე დახვრეტილ იქნა. მოღალატურათ მოქსოვილმა ბადემ ვერ დაიჭირა იმდენი მსხვერპლი, რამდენსაც ელოდა ბ. ბიმარშანია და შერავაშიძე. ქურდულათ დაგვეცენ თავს, მაგრამ ისინი დამარცხდენ. ჩვენ ოთხი ამხანაგი დავკარგეთ და რამდენიმე დაგვიჭრეს; მათ კი, როგორც ჩვენმა ტყვემ მათ ხელში ჩავარდნილა გვიამბო, რომელიც 26 ს დილას გამოექცა მათ, ასზე მეტია ისინი მკვდარიო და მრავალი დაჭრილიო. ასკერები ამ დღიდან დაიბნენ. 3—4 კაცი ყოველ დღე ჩამოდიოდენ შემდეგ სოფლებში შიმშილ-ისაგან დასუსტებულნი და დაჭრილი მოყავდათ შტაბში. მათ გზა შეიკრათ. ვერსად ვეღარ წავიდოდენ. 150 ასკერი სამურზაყანოში გადავიდა, იარაღი ჩაბარა ბოლშევიკებს და ამ უკანასკნელმა ჩვენ წარმოგვიდგინეს თათრები ოჩამჩირეში. რაზმმა თავისი გმირულათ დახოცილი ამხანაგები სამშობლოში გაასვენა.

რაზმი მთლად უნდა დაღუპულიყო აქ აჩმეზმახის მთაზე, ან ტყვეთ ჩავარდნილიყო. მან მტერს დიდი ზიანი მიაყენა და ოთხ კაცის გამოკლებით გადარჩა. თუმცა ძვირად დაუჯდა ეს გადარჩენა, ბევრი დამტვრეულიყო კლდეებში ხეტიალის დროს, როცა გზას აცდენ ღამე. ოჩხამური, გუდაუთი და აჩმეზმახის მთა—აი სამი ბრძოლა, სადაც რაზმის ადგილზე სხვა ჯარი უნდა გამქრალიყო, მაგრამ საგანგებო რაზმმა სამივე ბრძოლის ქარტეხილი გადაიტანა. ბოლშევიკების ხელიდან გმირული განთავისუფლება რაზმელების—ეს ხომ დიდი სულიერი გამარჯვება იყო რაზმისა. უბედურების ცეცხლს არ შეუშინდა რაზმი. ის დღესაც იარაღშია, დღესაც ბრძოლის ველზეა და დემოკრატიის მტრებს სასტიკათ ებრძვის.

მხოლოდ ბევრი ავათმყოფობით დაშორდა რაზმს, ბევრი დაიხოცა, რაოდენობა რაზმის შემცირდა და საჭიროა კვლავ მისი შევსება, რომ ის შეიქმნას მტრისთვის მეტი რისხვა და ხალხისთვის ძლიერი მოძმე-მეგობარი ჭირში და ლხინში.

პრომეთეოსი.

მუშათა შორის

რკინის გზის მუშათა ცხოვრებიდან.

ამ ბოლო ხანებში ხშირათ შეხვდებით გაზეთის ფურცლებზე, რომ რკინის გზებზედ ნამეტანი გახშირდა ძარცვა-გლეჯა და მექრთამობა, ამ სენს არც თფილისის დეპოს ზოგიერთი მუშები ასცდენ და მიაქვთ ის, რის წაღებაც კი შეიძლება, საზოგადოთ წინად ნიკოლოზის მთავრობის დროს თითქმის ყველა, ისე უყურებდა სახელმწიფო ქონებას როგორც „კაზიონს“ და ეს შეხედულება დღესაც ვერ გადაუგდიათ და კიდევაც ეზიდებიან, ვისაც რა მოხვდება ხელში. დღეს რომ მაგალითად ორთქმავალი შეავსოთ იარაღით, ხვალ და ზეგ

წამლები არ გამოჩნდა. რკინის გზას ფორმისთვის ჰყავს დაქირავებული „სტოროჟები“, რომლებიც ძილის მეტს არას აკეთებენ და მთლად რომ გაზიდონ რკ. გზიდან, არაფერს დაგიდეენ. თვით შეგნებულ მუშებმა თუ არ მიაქციეს ყურადღება ასეთ მოვლენას მალე რკინის გზაზე არაფერი არ დაგვრჩება, რაც შეეხება ბ. ვაშაკიძეს მოქმედებას, მაზე ადგილობრივმა კომიტეტმა დაადგინა: დაწვრილებით გამოიძიოს, რადგანაც დეპოს უფროსის თანაშემწეს ბ. უშვე—ძეს უბძანებია, რომ ამისთანა „პუსტიაკასთვის“ კაცის დათხოვნა ვის გაუგონიაო და არც ღირსო მაგის გამოქექვაო. ადმინისტრატორიც ასეთი უნდა! იმის მაგიერ, რომ დითონ დაწვრილებით გამოიძიოს და გამოიკვლიოს ორგანიზაციის წევრებსაც ეუბნება: აო ღირს საქექათაო, ალბათ მის სიტყვებს სარჩულად უდევს რამე, თორემ მე მგონია, ამას არ იტყოდა ბ. უშვ—ძე.

საჭიროა მთავრობის მხრივ დანიშნული პირი იყოს, რომ ჩამოიაროს „დეზერტირების ბაზარში“ ხოლმე, სადაც აუარებელი ნივთები იყიდება რკინის გზისა და ყველა ესენი უნდა იქნეს ჩამორთმეული და გამყიდველნი კი პასუხის გებაში მიეცემულნი. წინათ რკინის გზაზე სანიტარული წესი ასე თუ ისე იყო დაცული, ახლა კი, როდესაც ათასი ავათმყოფობაა გავრცელებული რკ. გზა უყურადღებოთაა მიტოვებული, ადამიანს არ გაევლება მე 14 სანიტარსათვის საწყობთან იმოდენი ნაგავი ყრია, თვით საწყობიდან გამოტანილი, ამას წინად მთელი სამი დღე ეგდო მკვდარი ცხენი და სანამ ძაღლებმა არ დაფლითეს, მანამ ყურადღება არავინ მიაქცია. საჭიროა მეტი უნარი და ყურადღება რკ. გზ. სანიტარულ კომისიის მიერ.

მეთვალყურე.

ს.-დემ. პარტიაში

თბილისი. 12 სექტემბერს შესდგა მესამე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: კომიტეტის მოხსენება; ნ. ვართანოვის განცხადება; ვ. კალანდაძის განცხადება; თ. ხაჩიკოვის, კოლექტივის წევრათ მიღება; ლექციის წასაკითხავათ ი. წერეთლის მოწვევა.

თავმჯდომარეობს: ამხ. ვ. კალანდაძე. თფილისის კომიტეტის სხდომის შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. კალანდაძემ; შემდეგ განხილულ იქნა ნ. ვართანოვის განცხადება; მან აღნიშნა, რომ ქალთა კომიტეტში, მესამე რაიონულ კოლექტივმა გაგზავნოს თავისი სამი წარმომადგენელი ქალი. ქალთა ორგანიზაციის მოსაწყობათ არჩეული იყო კომისია, რომელსაც ჯერ ჯერობით არაფერი არ გაუკეთებია, რაც აღნიშნა კომისიის წევრმა ალიტანოვმა. ქალთა კომიტეტში არჩეული იქნა შემდეგი პირები: ნ. ვართანოვი, დ. მეგრობიანცისა, სონა არიბდჟანოვი. ქალთა პარტიულ კრების მოწვევა დაევალა ა. ლიდანოვს. ამხ. ვ. კალანდაძემ, რადგანაც ბევრი საქმე ჰქონია, ითხოვა თავმჯდომარეობიდან განთავისუფლება, მაგრამ კრებამ სთხოვა დარჩენა. თომა ხაჩიკოვი, რადგანაც დიდსამსახურს უწევს კოლექტივს მიღებული იქნა კოოპტაციათ კოლექტივის წევრათ; მომავალი არჩევნებზე, ის იქნება დამტკიცებული წევრათ.

კრებამ დაადგინა მოიწვიოს ირ. წერეთელი ლექციის წასაკითხათ,

ი. მეგრელიძე.

პროვინცია

გორის მაზრა. 5 მარტს ჩამოვიდა ქ. გორში ბ. მარგველაშვილი და გამოგვიცხადა, რომ ის, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში ერობის შემომღებ მთავარ ინსტრუქტორის თანაშემწე, გვთხოვს, რაც შეიძლება საჩქაროდ შევადგინოთ სამაზრო საერობო კომიტეტი, რომელიც მოახდენს საერობო არჩევნებს გორსა და მაზრაში.

7-ში მოხდა ყრილობა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა, რომელსაც ბ. მარგველაშვილმა მოხსენება გაუკეთა ერობის შესახებ; ყრილობამ მაშინათვე აირჩია შვიდი კაცი თავის წარმომადგენელი საერობო კომიტეტში. ამ ჯგუფმა აცნობა ყველა პარტიებს და ქალაქის გამგეობას, რომ თავიანთი წარმომადგენელი გამოეგზავნათ კომიტეტის შესადგენათ.

ამ გვარათ შესდგა სამაზრო საერობო კომიტეტი, მაგრამ ამ კომიტეტმა ვერ მოასწრო 17 აპრილამდის პრეზიდიუმის არჩევაც კი. ხელი შეუშალა ცხინვალის ამბებმა. 17 აპრილს როგორც იყო არჩეულ იქმნა კომიტეტის პრეზიდიუმი; თავმჯდომარეთ მ. კობერიძე, ამხანაგათ დ. ხუციშვილი, მდივნათ მ. კინწურაშვილი. ის იყო უნდა შესდგომოდა ეს პრეზიდიუმი მუშაობას, ხელ ახლად ხელი შეუშალა აწყურის არეულობამ.

პრეზიდიუმი ხშირად იკრიბებოდა და ცდილობდა როგორმე ემოქმედნა და აემუშავებინა მაზრა. მოიწვია ისტრუქტორი [illegible] მაზრა [illegible] რა

რაიონათ, ქ. გორი მეცხრე რაიონათ იქნა აღიარებული. არჩეული უნდა ყოფილიყო 45 ხმოსანი, გადასწყვიტა დაეგზავნა თითო თითო რეგისტრატორი რაიონებში. დაუნიშნა ჯამაგირი ინსტრუქტორს ექვსასი მან., რეგისტრატორებს სამას სამას მანეთი, წასვლა-წამოსვლის ფული,—რაც დაეხარჯებოდათ. 15 თიბათვისთვის იყო მოწვეული ინსტრუქტორი; მაშინათვე გაიგზავნა თფილისში დებულების ჩამოსატანათ და ზოგიერთ კითხვების გამოსარკვევათ. 19 თიბათვეს ჩამოგვრვიდა დებულებები. გამოირკვა, რომ თფილისში ძალიან ცდილობენ ერობა საჩქაროთ იქნას შეიოღებული. მოგვეცეს ერთი თვის ვადა ხალხის ასაწერათ. მაშინათვე მივმართეთ მასწავლებლების კავშირის ბიუროს, რომ მოეცათ ჩვენთვის რეგისტრატორები საზოგადოებულად განთავისუფლებულ მასწავლებლებისაგან. ბიურომ სწრაფათ გამოგვიგზავნა სია მასწავლებლებისა. დავნიშნეთ ყოველ რაიონში რეგისტრატორები ერთის მაგივრათ ორორი და სამ-სამი. გვინდოდა რაც შეიძლება საჩქაროთ მოგვეხდინა აღრწერა. 27 თიბათვიდან შეუდგნენ მუშაობას. დიდი დაბრკოლება გამოიარეს რეგისტრატორებმა. ზოგ ადგილას უნდობლათ შეხვდა ხალხი. ოსეთში ზოგიერთ სოფლებში სულ არ შეუშვეს. ზოგან რამდენჯერმე მივიდნენ აღსაწერათ, სოფლელები არ უწყობდნენ ხელს. ცხენებს იშვიათად შოულობდნენ. წასვლა-მოსვლა ძალიან აფერხებდა რეგისტრატორებს. იძულებულნი ხდებოდნენ მომეტებული საღირალი გაეღოთ, რომ საქმის დასაჩქარებლათ ეშოვნათ ცხენი. ეს მიმოსვლა ჩვენ ძვირად დაგვიჯდა.

პირველ მარიამობისთვეს გორის მაზრის თითქმის ყველა რაიონები უკვე იყო აღწერილი, გარდა ცხინვალისა და ჯავისა. მარიამობისთვის პირველ რიცხვებიდან იწყება გაცხარებული მუშაობა ქ. გორში. მოწვეულ იქნა გადამწერლები ოც და სამამდის ანბანურ სიების შესადგენათ (ორი პირი გადავაწერ ნეთ), ერთი იგზავნებოდა რაიონებში გამოსაკიდათ, მეორე ჩვენ გვრჩებოდა საარჩევნო ბარათების შესადგენათ. ამითი აიხსნება, რომ ორი თვის განმავლობაში ამოდენა მაზრა აიწერა და არჩევნები დაინიშნა რამდენიმე რაიონისათვის 8 ენკენისთვეს.

პირველში ვფიქრობდით გვესარგებლა დამფუძნებელი კრების სიებით, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს სიები პოლკის გამოსვლის დროს ქ. გორში სულ გაენადგურებინათ. ყუთების ხელახლად გაკეთება დაგვჭირდა.

მიუხედავათ ოსების ზოგირთ სოფლების წინააღმდეგობისა მაინც მეორეთ ზოგან მესამეთაც გავგზავნეთ რეგისტრატორები და ავწერეთ რამდენიმე საზოგადოება. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ დიდი ინდიფერენტიზმი სუფევს ხალხში და თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ძალიან არეულ და ანარქიის დროს მოგვიხდა აღწერა, მაშინ არ არის არაფერი საკვირველი, რომ სამას ათას მცხოვრებიდან გორის მაზრაში აიწერა მხოლოდ ოთხმოცი ათასი სული.

დარწმუნებული ვარ, რომ სხვადასხვა მიზეზებისა გამო ყუთებთან ამის ნახევარიც არ მოვა ხმის მისაცემათ თუ ენერგიული ზომები არ იქნა მიღებული.

ძალიან მძიმე პირობებში გვიხდება ერობის შემოღება.

როგორც არ უნდა იყოს არჩევნები, ერობა ჩვენს ნორჩ საქართველოს რესპუბლიკას ზურგს გაუმაგრებს და წესიერების დამყარებას ხელს შეუწყობს.

მ. კობერიძე.

სოფ. გოლესანი (შორაპნის მაზრა). წარსულ წელს კრებაზე დასვეს სამკითხველოს დაარსების საკითხი. როგორც გამოირკვა, ცოტა ფული მოგროვილიც ყოფილა, რომელიც ქონია შენახული ი. კ—ძეს, მაგრამ მას ფულის მონახვა გაძნელებია. ხალხს დაუნიშნავს საქმის მოსაგვარებლათ მღვდელი ვანო ფერაძე, რომელსაც მოგროვილი ფული უნდა ჩაბარებოდა ი. კ—ძედან, დანარჩენიც უნდა შეეკრიბა ხალხში და მით სამკითხველო დაეარსებია, მაგრამ დრო მიდის და გაკეთებული საქმე კი არსად სჩანს; დროა ხალხმა გამოიღვიძოს და პასუხი მოსთხოვოს მათ, ვისაც საქმის მოგვარება დაევალა

დათიკო მილმელი.

ბაკურიანი. წარმოუდგენელ სურათს წარმოადგენს დღეს ბაკურიანი. გაწვიმდება თუ არა, აქა იქ ისმის ყიჟინა, დგანან ჯგუფ-ჯგუფათ ლტოლვილები და თავშესაფარს ეძებენ, გარბიან აქეთ იქით და ედებიან ყველა სოფლებს. ამის გამო მოდებულია თითქმის ყველა სოფლებში ავათმყოფობა და აუარება ხალხი იხოცება. საჭიროა მთავრობამ საჩქაროთ ყურადღება მიაქციოს ამას, თუ არა ყველასათვის ცხადია, რომ ბაკურიანში მაღი იქის ზამთარი, ისიც გა-

მუდმებული წვიმები და აქაურობა უფრო დაზარალდება.

დინჯაძე.

მუხურის საზოგადოება (შორაპნის მაზრა). 8 ენკენისთვეს მოხდა საერობო არჩევნები მუხურის საზოგადოებაში. მთელი საზოგადოება გაიყო ორ უბნათ: 1 უბანი თვითონ მუხურა, 2 უბანი შესდგება სხვადასხვა სოფლებისაგან: თუზი, ძირა თავასა, ზედა თავასა, ვარდიგორა და ჯგილათი. ყუთი დაედგით სოფ. თუზის ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებელში. არჩევნები დაიწყო დილის 8 საათზე, მაგრამ აქ ეროვნულ დემოკრატებმა ჩვეულებრივათ დიდი აყალმაყალი გამოიწვიეს. ბიულეტენების დარიგების დროს: ვანო საყვარელიძემ და სიმონ წიწილაშვილმა დ-ენებით მოითხოვეს პირველ ნომერს არ დარქმეოდა გამორკვეული სახელი და ხალხს თვალახვეული უნდა ჩაეგდო, რომელიც მოხვდებოდა ხელში ბიულეტენი. მაგრამ ამას არც ჩვენ მოვიქცეოდით მართლა თვალახვეული და მე ამხანაგებთან ერთათ კატეგორიულათ მოვთხოვე ვ. საყვარელიძეს და ს. წიწილაშვილს დეერქმიათ თავიანთ პარტიისთვის ჩვეულებრივი სახელი და ჩვენ კი ყველასათვის უნდა გვითქვა ჩვენი პარტიის სახელი, რომელიც შესდგებოდა სამი სოციალისტური პარტიისაგან: ს. დ. ს. ფ. და ს. რევოლ. № 1 სიაში მოქცეულნი. იმათ კარგათ იცოდენ რა მოელოდათ ამ სახელების გამოქექვანებით, ისე ვეღარ მოატყუებდენ გლეხებს, მაგრამ დროებით მაინც თანახმა გამიხდენ და არჩევნებიც კარგარ მიდიოდა. ს. წიწილაშვილმა შეხედა, რომ მათ № 2 ყველა ზიზღით მიჩერებოდა და ხელს არ კიდებდა, გამოვიდა გარეთ და დაიწყო საზიზღარი პროვოკაცია ხალხში. ხალხს ეუბნებოდა: ხალხნო! თუ გინდათ ყოველ წლიურათ იხადოთ 60 მ. ქცევა მიწაზე (ქცევა, 900 კვ. საჟენია) ხმა მიეცით № 1 და თუ გინდათ საკუთრება არ გამოგეცალოთ ხელში, ხმა მიეცით № 2, რომელსაც ხელს უწყობდენ კიდევ იქაური ბალშევიკები. ხალხს არჩევნებში მონაწ. მისაღებათ სახლებიდან არ უშვებდენ და თუ მაინც და მაინც თვითონ მოვიდოდენ, ისინიც ხალხს № 2-ზე მოუწოდებდენ. ერთი სიტყვით, ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვიხდებოდა მეცადინეობა, ხალხი მთლათ არ წამოგებოდა ორი ჯგუფის ეროვ. დემოკ. და ბალშევიკების ერთათ შეერთებულ პროვაკაციას. პირველი ნომერი მაინც ჩვეულებრივ გზას დაადგა და ვინც მოვიდა, თითქმის მაინც საკმარისი იყო. სოფელ მუხურაში მონაწილეობა უნდა მიეღო 1000 კაც. მიიღო მონაწილეობა 572. თუზის საარჩევნო უბანში მონაწილეობა უნდა მიეღო 1658 კაც. მიიღო მონაწილეობა 443 ხმა. ამათში ხმა მიიღო № 1 თუზის საარჩევნო უბანში 396, სოფ. მუხურაში 572. მეორე ნომერმა თუზის რაიონში 47 ხმა.

ი. ცინაძე.

სოფ. ზხეფი (სენაკის მაზრა). ეს სოფელი ქალაქ ახალ სენაკიდან მდებარეობს ოთხი-ხუთი ვერსის სიშორეზე. მიუხედავათ იმისა, რომ ეს სოფელი ასე ახლოს არის ცენტრთან, მაინც ძლიერ შევიწროვებულია ყაჩაღებისაგან და ქურდ-ბაცაცებისაგან ეს ერთი ხანია, არ გაივლის ღამე, რომ ვინმეს არ დაეცენ ნაძირალები, არ ააწიოკონ და არ წაართვან რაც კი საწყალ გლეხს თავის ოფლით შეუძენია. მკვლელობაც ხშირია; მაგალითად, ამ ერთი თვის განმავლობაში ნაძირალებმა მოკლეს დაცემის დროს თავიანთ სახლში ბ. გრიგოლავა და პ. ლეთოდიანი; გაძარცვეს: ა. ჩიქობავა, ტ. კუჭავა, ნ. კინწურაშვილი, ქვრივი ქალი ე. კინწურაშვილი და სხვანი, აქაურ ნაძირალებს ხელმძღვანელობას უწევს ცნობილი ყაჩაღი დგებუაძე და ხაჯალია. ეს ვაჟბატონები ისე გათამამდენ ამ ბოლო დროს, რომ ვისაც ეცემიან ეუბნებიან: თავიანთ სახელს, გვარს და დასძენენ: „ჩვენ მაინც საკატორღო ვართ, აბა გაბედეთ მთავრობასთან მივსვლა, დაგწვავთ და აგაოხრებთო“.

მუქარის წერილებსაც უგზავნიან ხალხს, რომ არ გასცენ, წერილებზე ხელს აწერს ხოლმე ორგანიზაციის სახელით სევერიანე დგებუაძე. ამ ვაჟბატონების მოქმედებას ხელს უწყობენ ადგილობრივი „დეზერტირები“, რომელნიც ხალხის წინადადებით არ აპირებენ თავიანთ ნაწილებში წასვლას და დგებუაძე ხაჯალიას წყალობით დაცემას და ბოროტმოქმედებას ჩადიან. იმითი საკრებულო და შტაბი ადგილობრივი დუქნებია, აქ მთელ დღე და ღამეს ქალაღლს თამაშობენ და ქეიფობაში ატარებენ დროს ეს ვაჟბატონები. სოფელი თავის ძალებით ვერას გახდა რა და ნაძირალების თარეშს ჯერ საზღვარი არ აქვს.

საჭიროა მაზრის ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ სოფელს და რაც შეიძლება დაჩქარებით, ვინაიდან რაც დრო გადის, ხალხში საშინელი შიში და უიმედობა იბადება, მთავრობის პრესტიჟიც ეცემა, მეორეთ „შაიკა“ თანდათან იზრდება სასალდათო ახალგაზრდებისგან. აუცილებელია შემდეგი ზომების მიღება სამაზრო მთავრობის მიერ: 1) დასაჭერია მეთაური ყაჩაღები და დეზერტირები, რომელნიც თავიანთი ნებით არ ბრუნდებიან ჯარში და ბოროტმოქმედებებს სჩადიან, 2) გასაყვანია სასალდათო ახალგაზდობა და 3 დასაკეტია და პასუხისგებაში მისაცემია ადგილობრივი სოფლის დუქნების პატრონნი, ორი სოფლის ეკლესიის წინ და ერთი თეხერის პირის ხიდთან. ეს მედუქნენი ცნობილნი არიან უკვე მთავრობის მიერ, მათ რამდენჯერმე დაუკეტეს დუქნები, მაგრამ ახლა ისევ გააღეს და განაგრძობენ ბოროტმოქმედებას, რომ მათ სოფლისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ, მხოლოდ ათამაშებენ ბანქოს და ათრობენ სოფლისათვის არასასურველ პირებს. ზემო-ჩამოთვლილ ზომების მიღებას სოფლის საზოგადოება ძლიერ დახმარებას გაუწევს და კმაყოფილიც იქნება, მხოლოდ საჭიროა მთავრობის მიერ ენერგიული ზომების მიღება.

შ—ლი.

ზემოქალედი (გურია). ბათუმის დაცემამ და მტრის ჯარის შემოჭრამ ოზურგეთის მაზრაში აუწერელ მდგომარეობაში ჩაგდო შემოქმედის საზოგადოებაც. მტრის ოზურგეთში შემოსვლისთანავე, ჩვენი საზოგადოება ომის ასპარეზათ გადაიქცა და მცხოვრებლების სარჩო-საბადებელი, კარ-მიდამო განადგურდა, წაიღეკა. განვლო დრომ, ჩვენი მთავრობის მიერ მიღებულმა ენერგიულმა ზომებმა მტერს ოზურგეთის მაზრა დააცლევია და შემოქმედის მცხოვრებლები დაუბრუნდენ გაპარტახებულ კერას და მრავალ სხვა უბედურებასთან ერთად წინ ახალი უბედურება აეტუზა, აუწერელი შიმშილი თავს დაატყდა. თუმცა მთლათ თუ არა, სანახევროთ მაინც წარმოუდგენელ შიმშილს განიცდიდა, არ აჰყოლია პროვოკატორების ფეხის ხმას და მთავრობის დროგამოშვებითი დახმარებით კმაყოფილდებოდა. გაჭირვებული, მშიერტიტველი, ხშირათ უსახლკარომ მომავლის იმედით მიჰყო ხელი ხვნა-თესვას მაშინ, როდესაც მტრის მიერ დაუკავებელ საზოგადოებებში სიმინდი უკვე იფურჩქნებოდა. შიმშილის აჩრდილი კი თავს დასტრიალებდა დამშეულ ხალხს. ხილმა მოუსწრო და მცხოვრებლები უმთავრესად ხილით იკვებებოდა, რამაც ხელი შეუწყო მრავალგვარ ავადმყოფობის გავრცელებას.

თუმცა-და დრო-გამოშვებით მცხოვრებლები გურიის დამხმარე კომიტეტისაგან დახმარებას ღებულობდა, მარა ყოველივე ეს წვეთია ზღვაში და ამასთან ერთად მისი ფასები უმრავლესობისათვის ხელმიუწდომელი. შემოქმედის საზოგადოება კმაყოფილია და მადლიერი უკანასკნელ ხანებში მთავრობის დახმარებით, რაიც გამოიხატება ერთ ვაგონ ქერში, რომელიც დაეთმო შემოქმედის საზოგადოების რწმუნებულს, სეფე მახარაძეს ხსენებულ საზოგადოების საჭიროებისათვის ძლიერ ხელმისაწდომ ფასებში. ახალი სიმინდის მოტანვამდე კიდევ ერთი თვეა, ჩარჩ-ვაჭრებმა გამოაცალეს მცხოვრებლებს უკანასკნელი კაპეიკები, საზოგადოება დამშეულია, საჭიროა მთავრობამ მიაქციოს მას სერიოზული ყურადღება და დაუყოვნებლივ ერთი ვაგონი სიმინდი, ან ქერი ხელმისაწდომ ფასებში დაუთმოს მას და მით შეუმსუბუქოს შემოქმედის საზოგადოების მცხოვრებლებს აუწერელი გაჭირვება.

აჭარელი სოსო

ცნობები

შალვა ალ. იმნაიშვილი მსახურებდა თფილისში. მისი ადრესი იყო: თფილისი, ცენტრალური საწყობი ვ. რ ზ. კავშირი, ელისაბედის ქ. № 133, შოფერის თანაშემწე. დადიოდა თფილის-კავკავ-პროხლადნაიას შუა ავტომობილით, 17 წლისაა, 5 თვე გადის მას შემდეგ, რაც არაფერი ჩანს მისი, ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით იმის შესახებ გაგვაგებინოს. ჩვენი მისამართი: სად. ლანჩხუთი, სოფ. შუხუთი, იერემია იმნაიშვილს.

გამოვიდა და იყიდება

უნივერსიტეტის და თეატრის

5.000.000 მანეთის

ლატარიის ბილეთები.

ხილეთი ღირს 25 მანეთი.

პირველი მოგება

100.000 მანეთია.

ბილეთები იყიდება იქ, საცა გამოცხადებულია. (60—5)

ბაიხნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექ. დიასამიძე განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15 ტელ. 18—03.

მედიცინის დოქტორი ენენევს უნ-ტისა

მ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტლისა და ენენევს უნივერსიტეტის კლინიკისა

თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 12—2 საათამდე და 4—8 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

(**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა**) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სამკურნალო, ბავშვთა, ნერვიანობა. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონიანის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ნიკოლოზ ი. ფანასელაძე

იღებს სპეციალურად—მაღალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა **შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

ექიმი დ. ჯავახიშვილი

მიიღებს ბავშვთა [illegible] ბიან ავათმყოფებს [illegible] და, [illegible] ბინა: ქალაქ, [illegible] ქუჩა, № 41. ტელ. ფონი № 14—09.

ექ. ძაღლი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ენენევის უნ-ტისა სტენტისა და ედინბურგის მედიცინურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ** და **ვენერ. ავადმყოფებს** და **იძლევა ხაბებიო** [illegible] ებას. სიფილისის წამლობა ინ[illegible] თოდებით. დილის 10—12 ს. და [illegible] ბის 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის [illegible] სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—[illegible]

სამკურნალო კაბინეთი

ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

პეპელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფ[illegible] სით ავათმყოფებს (914—606 ის [illegible] პუნება). ავათმყოფთა მიღება [illegible] 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს [illegible] ათიდან 7 საათამდე. მიხეილის [illegible] პექტი, № 116, სასტუმრო „ნიერ“-ს [illegible] დაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი ვ. ფ. ვალიკლიშვილი

იღებს ქალების და ქირურგიულ [illegible] ლებით ავათმყოფთ დილის 9—1 [illegible] საღამოს 5—7 საათ. მისამართი: [illegible] ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (24[illegible]

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის [illegible] ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს [illegible] ლის 11—1 საათამდე, საღამოს 5—[illegible] მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს [illegible] ლის პირდაპირ. ტელეფონი 16—[illegible]

ექიმი ბ. ვ. ფუსაძე

იღებს საღოსტაქრო ავათმყ. იფთ საღ[illegible] 5—6 საათამდე. კვირა დღის გარდა, [illegible] სამართი: დიდი მთავრის ქ. № 5[illegible] ცერია ეკონომიურ **სახ.** შენობის [illegible] დაპირ. სახ. [illegible] ტელ. № 5—[illegible]

სახელმწიფო თეატრი. 1918—19 წლის **საოპერო სეზონ**[illegible] **დირექცია ნ. დ. ლევიცკისა**

პარასკევი, 20 სექტემბერი

ეროვნული

ოპერა 4 მოქ. მუზიზესი.

მონაწილეობენ: ქ.ქ. სპიტკო, გორინსკაია, გედევანიშვილი, ვლადინა; ბ.ბ. [illegible] ზინი ზუბარიოვი, ისიცკი, კურბატოვი, ინაევი, ეზრო.

დირიჟორი **ჩერეპნინი.**

დასაწყისი ხალამოს სწორ 8 საათზე.

კასა ღიაა დილის 10—2 საათ. საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდ[illegible]

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს

საქართველოს სხვადასხვა ყუთხეებში გროვდება შემოწირულებანი სახელ[illegible] ფო ფონდისათვის ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, საჭიროა ამ დიდ საქმეს [illegible] ცეს სისტემა, რამაც უზრუნველყოს შემოწირულებანის დანიშნულებისამებრ გ[illegible] ცევა. ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შემ[illegible] რულებანი მიიღება რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, საიდანაც შემომწირველთ [illegible] ცემათ სათანადო ბარათი. ბარათში აწერილი იქნება შემოწირული ნივთი და [illegible] ნიშნული მისი წონა. შემომწირველთა სიას ფინანსთა სამინისტრო გამოაქვეყ[illegible] გაზეთებში. ფონდის მოგროვების დამოლოვების შემდეგ მთავრობა გამოსცემს [illegible] საკუთრებულ „ოქროს წიგნს“, რომელშიაც შეტანილი იქნება შემომწირველთა [illegible] ხელი და გვარი.

კერძო პირთ შემოწირულებანის მიღება შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ [illegible] იქნებათ ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის მოწმობა და სათანადო ბარათ[illegible] წიგნაკები, რომლის მიღება შეიძლება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს კანცე[illegible] რიაში. მიღებული შემოწირულებანი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეტანილი ა[illegible] ლობრივ ხაზინაში.

განცხადება

თფ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას მიზნად აქვს უზრუნველ[illegible] თფ. ლ. სას მცხოვრებნი საჭირო ნახშირით 1918—9 წლის ზამთრის განმაველ[illegible] ში, ამიტომ იწვევს ინსურველთ, ვისაც შეუძლია

ნახშირის მოწოდება,

შემოიტანონ საამისო განცხადება, დახურული კონვერტით. განცხადებაში საჭ[illegible] აღნიშნონ ნახშირის რაოდენობა, ფასი, რიცხვი და ადგილი მიწოდებისა. [illegible] სკნელი რიცხვი განცხადების შემოტანისა არის 23 სექტემბერი დღის 12 საა[illegible]

მისამართი: თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება, [illegible] შვილის და ბებუთოვის ქუჩების კუთხე.

(2—1) **ქალაქის გამგ. სასურსათო განყოფილება**

განცხადება

სასურსათო საქმის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა მარილ[illegible] შესახებ, რომელიც იყო დანიშნული 5 სექტემბერს არ შესდგა სხვადასხვა ფორ[illegible] ლურ მიზეზებისა გამო. სამინისტრო ხელ-ახლა აცხადებს, რომ 25 სექტემბერს, [illegible] ღამოს 5 საათზე, სასურსათო სამინისტროს შენობაში მოხდება ხელ-მეორე [illegible]

საჯარო ვაჭრობა

სამინისტროსათვის 800,000 ფუთი მარილის მიწოდების შესახებ

(მარილი უნდა იყოს კრისტალური, მარცლოვანი)

ის პირნი, რომ ლოთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ამ ვაჭრობაში უნდა [illegible] მოცხადდენ ზემო აღნიშნულ დროს სასურსათო საქმის სამინისტროს შენობა[illegible] სავალდებულოა შემდეგი:

1) საწინდარი არა ნაკლები 5,000 მან., რომელიც წარმოდგენილი [illegible] იქნეს საჯარო ვაჭრობის დროს.

2) სახელი, მამის სახელი და გვარი მსურველისა.

3) დრო, როდის იქნება მოტანილი მარილი, ხარისხი და გვარი მარილ[illegible]

4) ფასი „ფრანკო ვაგონი“ საქართველოს რკინის გზისა.

5) პირობები ფულის გადახდისა.

6) განცხადება უნდა იქნეს შემოტანილი წერილობით დახურულ კონვ[illegible] ტებში არა უგვიანეს 25 სექტემბრისა 12 საათზე. კონვერტზე უნდა იყოს და[illegible] რილი: სასურსათო საქმის სამინისტროს მიმწოდებელ განყოფილების უფროსს.

გზათა მიმოსვლის და სასურსათო საქმის მინისტრი **ლორთქიფანიძე.**

მომწ. განყ. უფროსი **ადანია.** (6—2)

ბსწრაფელ-ბეჭდავი სტამბა ოდბეძისა, გალაფლის შესახვევი. № 1.